ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 2022 №227 (9005) ფასი: 80 თეთრი

## რუსთავში 18 წლის გოგონამ თვითმკვლელობა ცადა

გვ.5



# „ივანიშვილს თავი ღმერთი ჰგონია და ხელისუფლებაში აღარ შემობრუნდება“

გვ.2



გია ხუხაშვილი:
„უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ საქმე ძალიან ცუდად იქნება, საერთაშორისო ურთიერთობებში ნავიგაცია გაუჭირდებათ“



## „ნაციონალური მოძრაობა, მოგვწონს თუ არა, სერიოზული პარტიაა“



ვახტანგ ძაბირაძე:
„კეზერაშვილს ფული კი აქვს, მაგრამ, არა მგონია, ამომრჩევლის მოსყიდვა შეძლოს. ამიტომ, მთავარია, ღია და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდეს“

გვ.3



## „ეს უკრაინის თავდაცვის ძალების კონტრშეტევითი ოპერაციის ჩატარების შედეგად მოხდა“

გვ.4



რისთვის აგებენ უკრაინელები კედელს ბელარუსის საზღვართან?

გვ.4



კრემლის რეაქცია ზელენსკის წინადადებებზე

## ვოლოდიმირ ზელენსკიმ დიდი ოცეულის სამიტს მიმართა

გვ.5

## თენგიზ დიხამინჯია: „მერაბისა და ზვიადის შემდეგ ნოდარ ნათაძის დონის პიროვნება არ გვყოლია“



გვ.3





## ვისი მკვლელობა ცადა თბილისში პაკისტანელმა ქილერმა

## მირიან კუკავას მკვლელობაში ბრალდებული ალაპარაკებას აანონსებს



გვ.5



## ხორცპროდუქტებში ცხენისა და ვირის ხორცი აღმოაჩინეს

1993230720223

**2** კახა კალაძე: „მე ლევან ხაბეიშვილს ვემხრობი“

**4** ალეკო ელისაშვილი: „დავით კეზერაშვილის ადგილი გალიაშია“

**5** 23 წლის ბიჭი 5 წლით ციხეში რამდენიმე თუნუქის ქილის გამო ჩასვეს

**6** ბექა ვაჩიბერაძე — პირველი ქართველი, რომელიც სათამაშოდ უკრაინაში დაბრუნდა

# „ივანიშვილს თავი ღმერთი ჰგონია და ხელისუფლებაში აღარ შემობრუნდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



## გია ხუხაშვილი: „უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ საქმე ძალიან ცუდად იქნება, საერთაშორისო ურთიერთობებში ნავიგაცია გაუჭირდებათ“

*– ბატონო გია, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? საქართველოს ევროკომისარი სტუმრობდა. ხელისუფლების ოპონენტებმა იხუმრეს კიდეც, ევროკომისარი ქოცი ყოფილაო. რა გზავნილები ამოიკითხეთ მის განცხადებებში?*

– პირადად მე ამგვარ განცხადებებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან მსგავსი ტიპის განცხადებები, როგორც წესი, ინტერპრეტაციების საგანი ხდება ხოლმე საქართველოში და რეალური შედეგის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყველა თავისებურად კითხულობს, ზოგი მერე რაღაცას აბრალებს და ასე შემდეგ.

რეალურად, ჩვენი პრობლემა წყდება არა იმით, ვინ ჩამოვიდა აქ და რა თქვა, არამედ იმით, თუ როგორ შევასრულებთ იმ პირობას, რომელიც დავდეთ 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით. ევროკომისარმა რომ რაღაცა თქვა ქოცების ან ნაცების მხარეს და შემდეგ ჩვენ ამაზე გვინდა ავაგოთ რაღაცა, ეს არის პოლიტიკის ძალიან მიამიტი და აბსოლუტურად უსაგნო გაგება და მეტი არაფერი. ყველაფერი წყდება იქ! ჩვენ რას ვაკეთებთ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული და არა იმაზე, აქ ვინ ჩამოვიდა და რა გვითხრა! გადაწყვეტილებებიც ევროკავშირში შესაბამისი იქნება მიღებული, შესაბამისი იმისა, ჩვენ რას ვიზამთ და არა იმის მიხედვით, ვის რომელ სუფრაზე დავსვამთ და ხინკალს ვაჭმევთ თუ ქაბაბს.

*– არ ჩანს, რომ ხელისუფლება შეასრულებს ამ რეკომენდაციებს?*

– სიმართლე რომ გითხრათ, სამწუხაროდ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება არ აპირებს ამ 12 პუნქტის შესრულებას. ისინი აპირებენ შესრულების იმიტაციასა და იმის უზრუნველყოფას, რომ ეს არ შესრულდება, თვითონ კი არ დაიბრალოს, დააბრალოს ოპოზიციას, ოპოზიციის არაკონსტრუქციულობას, რომ ვერ ითანამშრომლეს და ამიტომ არ შესრულდა რეკომენდაციები. ეს არის ხელისუფლების გეგმა. სხვა გეგმა მათ არა აქვთ და ეს ჩანს აშკარად.

*– რამდენად გამოვა ოპოზიციისთვის გადაბრალება? გასაგებია, რომ ოპოზიციაც არათანმიმდევრულია, მაგრამ მაინც.*

– ოპოზიციამ თუ ასე გააგრძელა, როგორც დღემდე იქცეოდა, გამოვა, რატომაც არ გამოვა.

*– არცერთ პუნქტს არ შეასრულებენ?*

– არცერთი პუნქტი სათანადოდ არ იქნება შესრულებული. ეს ხელისუფლება არ აპირებს იმ ჩაბეტონებული სისტემის შეცვლას, რაც მან გააკეთა, რაც აბსოლუტურ კონფლიქტში შედის იმ 12 პუნქტთან. ამდენი იწვალეს, სისტემა შექმნეს, ეს მურუსიძე ჩააბეტონეს იმ სასამართლოში და ვინმეს აქვს ილუზია, რომ ამას შეცვლიან ესენი?! არ შეცვლიან, რა თქმა უნდა!

*– ოპოზიცია ახსენეთ და რა მდგომარეობაშია დღეს ოპოზიცია? მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებულ ნაციონალურ მოძრაობაში რაც ხდება, ყველანი ვხედავთ. ძალაუფლების გადანაწილებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა?*

– ჩვეულებრივი ამბავია. ყველა პარტიაში რაღაც პროცესი მიმდინარეობს, რომელიც შემდეგ შესაძლოა კრიზისში გადაიზარდოს. ახლა პარტიაში აქვთ კრიზისი და ამ კრიზისის გადალახვის ერთადერთი გზა შიდაპარტიული არჩევნებია.

*– ნიკა მელია ამ არჩევნების წინააღმდეგია.*

– მე არ ვფიქრობ, რომ არჩევნების არგამართვა იყოს გამოსავალი. არჩევნები რომ არ გაიმართოს, შეიძლება, დროებით დაასტაბილუროს ვითარება, მაგრამ ამით დაავადებას ვერ უშველი. ერთადერთი გამოსავალი ამ დროს ყოველთვის შიდაპარტიული არჩევნებია. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება პრობლემას წყვეტს მხოლოდ დროებით და არა სისტემურად.

*– სააკაშვილის განცხადება რამდენად იქონიებს გავლენას ამ პროცესზე?*

– სააკაშვილის ნებისმიერი განცხადება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ პარტიაში.

*– სააკაშვილმა განაცხადა, რომ ახლა არჩევნების დრო არ არის, ანუ შესაძლებელია, აღარ იყოს არჩევნები?*

– მე არ დავეთანხმებოდი ამას, თუმცა მის ამ სიტყვას მაღალი ფასი აქვს და შეიძლება მართლა არ ჩატარდეს არჩევნები, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. როდესაც ასეთი კრიზისია, ჯობია, ჩატარდეს არჩევნები და ეს არჩევნები ჩატარდეს ერთი დათქმით, რომ ყველა მხარემ, რომლებსაც ურთიერთპრეტენზიები აქვთ, უნდა თქვან, რომ აღიარებენ არჩევნების შედეგებს და პარტიულ დისციპლინას დაიცავენ. აი ეს იქნებოდა სწორი გამოსავალი, მაგრამ, თუ არ უნდათ ჩატარება, ნუ ჩაატარებენ, რა ვქნა, ნამდვილად ვერ ვიდარდებ ნაციონალურ მოძრაობაზე.

*– 12 პუნქტის შეუსრულებლობაზე საუბრობდით და რამდენად მოსალოდნელია სანქციები იმავე ივანიშვილთან მიმართებით?*

– ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენ მრუდე გზას დავადექით და ამ მრუდე გზაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

*– რამდენად გჯერათ ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნების?*

– ჩვენ მუდმივად ვსაუბრობთ ივანიშვილის შემობრუნებაზე და რეალურად ივანიშვილი არსადაც არ წასულა. ვინმეს აქვს განცდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან ოდესმე გავიდა, თუნდაც 5 წუთით?! სხვა საკითხია, რომ ეს არ არის ინსტიტუციური, ფორმალიზებული, მაგრამ სულ აქ არის.

*– მის ფორმალურ შემობრუნებაზეა საუბარი.*

– ფორმალურ შემობრუნებაზე გეტყვით, რომ ბიძინას ეს ძალიან არ უნდა. საერთოდ, ოლიმპზე როცა ადიხარ, ანუ ღმერთად რომ წარმოიდგენ საკუთარ თავს, მერე ჩვეულებრივი ადამიანის ფორმასა და სხეულში დაბრუნება ძნელია. ამ მდგომარეობაშია ახლა ბიძინა. მას ჰგონია, რომ ღმერთია. ღმერთი ხომ ყველგან არის და, ამასთანავე, არსად არ არის, ხომ? როგორი საქმეა, ღმერთი ხარ და მერე უცებ გეუბნებიან, მოდი, მიწაზე დაეშვიო. ადამიანურად ძნელია... მე მესმის მისი განცდების. კი არ თანავუგრძნობ, მაგრამ მესმის. თუ უკიდურესი აუცილებლობა არ იქნება, ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

*– თუკი ახლა დავკარგეთ კანდიდატის სტატუსის მიღების შანსი, რამდენი ხნით გადაიწევს ეს შესაძლებლობა?*

– ზუსტად იმდენი ხნით, სანამ ჩვენ არ ვიქნებით მზად, ვაღიაროთ ის წესები, რომლებიც ცივილიზებული სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. ისინი ჩვენ გვეუბნებიან მუდმივად, ჩემს ოჯახში გინდა ცხოვრება? იცხოვრე, ოღონდ ჩვენი წესებითო.

*– თუკი უკრაინაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა უკრაინის სასარგებლოდ, ამ შემთხვევაშიც ვერ მოეგება გონს ჩვენი ხელისუფლება?*

– ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ საქმე იქნება ძალიან ცუდად, იმიტომ, რომ მათ ძალიან გაუჭირდებათ ნავიგაცია საერთაშორისო ურთიერთობებში.

## ლევან ხაბეიშვილი ენმ-ს თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს



ლევან ხაბეიშვილი მეოთხე კანდიდატია, რომელიც ენმ-ს თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს.

მის გარდა, კანდიდატურები დააყენეს გიორგი ჩალაძემ და გიორგი მუმლაძემ. შიდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელიაც.

## ლევან ხაბეიშვილი გიორგი ჩალაძეს მიხეილ სააკაშვილის გადარჩენის შტაბის შექმნასა და მის ხელმძღვანელობას სთავაზობს

ნაციონალურ მოძრაობაში გამართულ ბრიფინგზე, სადაც ლევან ხაბეიშვილმა პარტიის თავმჯდომარეობაზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა, კიდევ ერთ კანდიდატს, გიორგი ჩალაძეს, მან შესთავაზა, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ნაციონალურ მოძრაობასთან შეიქმნას შტაბი, რომელსაც სწორედ ჩალაძე უხელმძღვანელებს:

– მინდა, გამოვიდე ინიციატივით და გიორგი ჩალაძეს, რომელიც მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობისთვის ამ თვეების განმავლობაში აკეთებს ყველაფერს, შევთავაზო, ნაციონალურ მოძრაობასთან შეიქმნას შტაბი, რომელშიც გაერთიანდება ყველა: პოლიტიკოსები, ექიმები, სამოქალაქო სექტორი, ისინი, ვისაც აინტერესებს პრეზიდენტ სააკაშვილის ჯანმრთელობა და სიცოცხლე და ამ შტაბს გიორგი ჩალაძე ჩაუდგეს სათავეში, – თქვა ხაბეიშვილმა.

## გიორგი ჩალაძემ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა

გიორგი ჩალაძემ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. აღნიშნულის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, ახლა მთავარი ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადარჩენაა.

– პრეზიდენტ სააკაშვილის საკითხი არის ერთადერთი, რაზეც სრული კონცენტრირება არის საჭირო, შესაბამისად, ჩემთვის ყველაფერი სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. დღეს, ლევან ხაბეიშვილის გამოსვლას ვუსმინე, სამწუხაროდ, შეხვედრებზე ვიყავი და მასთან პირადი საუბარი ვერ შევძელი, საჭიროა, ერთად დასხდომა და საუბარი, ეს საქმე შარშან, 3 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო და პრეზიდენტ სააკაშვილის თემა უნდა იყოს პირველი, ეს არის ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის საკითხი. შესაბამისად, მინდა ვთქვა, რომ ვხსნი ჩემს კანდიდატურას.



მე აღარ დავაყენებ არჩევნებზე ჩემს კანდიდატურას, მაგრამ, აქვე აღვნიშნავ, არანაირი შტაბები, ფორმალური გაფორმება, სტრუქტურული ერთეულები ან სხვა რამე არ არის საჭირო. ეს უნდა იყოს ფართო კონსენსუსი, ჩვენ გვჭირდება პროცესი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის და არა სხვისთვის.

იმედი მაქვს, პარტია და სხვა დანარჩენი რესურსი მხარში ამომიდგება, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ერთად გადავარჩინოთ, – განაცხადა ჩალაძემ.

ის იმედს გამოთქვამს, რომ ახალი თავმჯდომარის პირობებში ეფექტურ მუშაობას იხილავს.

– ლევანმა ის თქვა, რაც დიდი ხნის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ნათქვამი. მიმაჩნია, რომ ერთი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ნათქვამი. მიმაჩნია, რომ ერთი წლის განმავლობაში არაეფექტური მუშაობა იყო და ძალიან დიდი იმედი მაქვს, ვიხილავ ეფექტურ, შედეგისმომცემ საქმიანობას, პირველი, რასაც გავაკეთებ, მე და ლევანი ერთად დავსხდებით, – განაცხადა ჩალაძემ.

შეგახსენებთ, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ხაბეიშვილი, რომელმაც გუშინ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინა, ინიციატივით გამოვიდა, პარტიაში შეიქმნას შტაბი, სადაც ის ადამიანები გაერთიანდებიან, ვისაც მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა აინტერესებს.



## კახა კალაძე: „მე ლევან ხაბეიშვილს ვემხრობი“

– მე ლევან ხაბეიშვილს ვემხრობი... თუ ლევან ხაბეიშვილი იქნება არჩეული ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ, უფრო მეტს გავერთობით, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილს იმსახურებს.

– მე ლევან ხაბეიშვილს ვემხრობი, ლევან ხაბეიშვილს ვუჭერ მხარს, ნაციონალური მოძრაობა დღეს იმ მდგომარეობაშია, ლევან ხაბეიშვილს იმსახურებს პარტიის თავმჯდომარედ და ჩემი სრული მხარდაჭერა მას. ძალიან გამიხარდება, თუ ლევან ხაბეიშვილი იქნება არჩეული ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ, უფრო მეტს გავერთობით, – განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, ლევან ხაბეიშვილმა ნაციონალური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა გუშინ დაასახელა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალური მოძრაობა, მოგვწონს თუ არა, სერიოზული პარტიაა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „კეზერაშვილს ფული კი აქვს, მაგრამ, არა მგონია, ამომრჩევლის მოსყიდვა შეძლოს. ამიტომ, მთავარია, ღია და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდეს“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ლევან ხაბეიშვილმა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა დაასახელა. გამოჩნდა, რომ ძველი გვარდიის რამდენიმე წარმომადგენელი მის გვერდით დგას. როგორ ფიქრობთ, რა პროცესთან გვაქვს საქმე?***

– პარტიაში განხეთქილება რომ იყო, ცხადი გახლდათ. ეს განხეთქილება საჯარო სივრცეში გადმოვიდა და დადასტურდა. ეს არ არის პრობლემა, პრობლემა გაჩნდება მაშინ, თუ არჩევნებში დამარცხებული არ ცნობს გამარჯვებულის შედეგებს და დაიწყებს პარტიიდან გასვლას თავის გუნდთან ერთად. ეს იქნება უკვე პარტიის მორიგ ჯერზე გაყოფა. ეს კი არ არის ახალი ამბავი ქართული პოლიტიკისთვის. ამას ვადევნებთ თვალს აგერ უკვე 30 წელია.

თუ დამარცხებული გამარჯვებულს მიულოცავს და შედეგს აღიარებს, მაშინ ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და არც პარტიისა და არც პროცესისთვის საგანგაშო არაფერი იქნება.

ნაციონალური მოძრაობა, მოგვწონს თუ არა, სერიოზული პარტიაა ნახევარმილიონიანი მხარდამჭერით. ამდენად, იქ მიმდინარე მოვლენები, ცხადია, ასახვას ჰპოვებს თავის ამომრჩეველზეც. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, არჩევნების შედეგები არ დააყენონ მხარეებმა ეჭვქვეშ.

***– როგორც ჩანს, ძალიან მწვავე წინასაარჩევნო კამპანია ექნებათ და შეიძლება მილოცვებით არ დასრულდეს ეს პროცესი.***

– დიახ, გეთანხმებით. ისეთი პირი უჩანს, რომ ეს პროცესი ალბათ უფრო პარტიის გახლეჩით დასრულდება. რაც ძალიან ცუდი იქნება, ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით.

***– რას იტყვით იმ ვერსიაზე, რომ კეზერაშვილმა პარტიის სადავეების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა, ვინაიდან უკვე ცნობილია საakaშვილის გზავნილები ამ პროცესთან დაკავშირებით, რომ ის არ გულშემატკივრობს ამ ამბავს და ამბობს, რა დროს ეს იყოო?***

– ვერაფერს გეტყვით იმ ქვედადინებებზე, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს. გამორიცხვით არაფერს არ გამოვრიცხავ. ბევრი რამე ცნობილი გახდება წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რაზეც უკვე ილაპარაკა ნიკა მელიამ. თუ ხაბეიშვილისა და მისი ჯგუფის უკან კეზერაშვილი დგას, წინასაარჩევნო კამპანიის დროს იძულებულნი იქნებიან, თუ პირდაპირ არა, მინიშნებით მაინც თქვან, ან გამოჩნდება, როგორ დაიცავენ კეზერაშვილს. ამას ვნახავთ.

ნახევარნ მილიონ ამომრჩეველზეა საუბარი. ამიტომ მე მიჭირს იმის თქმა, რომ ამ ხალხს არ ექნება სრული ინფორმაცია, თუ ვის მისცემენ ხმას და ვის აირჩევენ, ანუ ვინ იდგება ამა თუ იმ კანდიდატის უკან. სიმართლე გითხრათ, ამ პროცესის უკან კეზერაშვილი რომც იდგეს, ამაშიც ვერ ვხედავ პრობლემას.

***– რატომ?***

– კეზერაშვილს ფული კი აქვს, მაგრამ, არა მგონია, ამომრჩევლის მოსყიდვა შეძლოს, ჩამოვიდეს და ფული დაარიგოს. ამიტომ, მთავარია, ღია და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდეს და, ვისაც პარტიის ამომრჩეველი აირჩევს, ის იქნება ლეგიტიმაციის მქონეც. ეს არ იქნება ცუდი ზოგადად დემოკრატიისთვის.

ოპოზიციურ ფლანგზე კონკურენტული გარემოს კიდევ უფრო გაჯანსაღებისთვის არჩევნებამდე დარჩენილ დროში, კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტი არჩევნები ჩატარდეს, რომ მეტი ახალი სახე, ახალი ლიდერი გამოჩნდეს. სამეულს, რომელიც გაერთიანებაზე საუბრობს, ვგულისხმობ ხოშტარიას, ჯაფარიძესა და ვაშაძეს, ურიგო არ იქნებოდა, კენჭი ეყარა, ლიდერი გამოკვეთილიყო ან თუნდაც ნაციონალურ მოძრაობასთან თუ აპირებენ გაერთიანებას, წამოაყენონ თავიანთი კანდიდატებიც. გამარჯვებული მერე, თავისუფლად შეიძლება, პრემიერობის კანდიდატიც იყოს ოპოზიციის მხრიდან. დიდი არჩევნებისთვის უკვე მზადებასაც შეუდგებოდნენ.

***– ხელისუფლებას რამდენად აწყობს ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ეს მოვლენები?***

– აწყობს იმ შემთხვევაში, თუ პარტიის არჩევნები პარტიის გაყოფით დასრულდება და კიდევ ერთ ან ორპროცენტიანი პარტია გაჩნდება, როგორც ეს აქამდე არაერთგზის გვინახავს. მაგრამ, თუ ისე დასრულდა, როგორც დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ან სხვაგან და პარტია დემოკრატიულ სტანდარტს აჩვენებს, როგორ არჩევნებს ატარებს, როგორ გამოავლინა ახალი ძალა, ახალი სახეები, მაშინ – არა, რა თქმა უნდა. მაშინ, ეს პროცესი პარტია ნამდვილად ნაციონალურ მოძრაობას გააძლიერებს და არა – „ქართულ ოცნებას“.

# თენგიზ დიხამინჯია: „მერაბისა და ზვიადის შემდეგ ნოდარ ნათაძის დონის პიროვნება არ გვყოლია“

გულიკო ბალაძე

**დღეს ქართველი საზოგადოება უზენაესი საბჭოს მეორე მოწვევის პარლამენტის დეპუტატს, სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს, ნოდარ ნათაძეს, უკანასკნელ გზაზე გააცილებს. „ახალ თაობას“ უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია ესაუბრა.**

***– ბატონო თენგიზ, დღეს ნოდარ ნათაძეს საზოგადოება უკანასკნელ გზაზე გააცილებს. როგორ იხსენებთ მასთან ერთად განვლილ წლებს და როგორ აფასებთ მის მოღვაწეობას?***

– გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკანასკნელი მოჰიკანი. მას დამოუკიდებლობის აქტისა და კონსტიტუციის მიღებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ამ ისტორიაში ულირსეულესი ადამიანები იყვნენ. მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას შემდეგ ამ დონის, მასშტაბისა და დამსახურების პიროვნება არ გვყოლია. ის აღმოჩნდა უკანასკნელი მოჰიკანი ამ დიდ თანავარსკვლავედში.

ნოდარ ნათაძე ღირსეულად, თავისი ცხოვრების წესითა და ღვაწლით ემსახურა ერთადერთ იდეას, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი შინაგანი და ყველანაირი თავისუფლება ჰქვია. მან მთელი თავისი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მიუძღვნა.

მისი იდეალი სამშობლოს მსახურება იყო. მის მიერ შემოღებული და დამკვიდრებული ფორმულა იყო: პიროვნება თავისუფლებისაკენ, ეროვნული გზისკენ და თავისუფლება პიროვნებისაკენ.

ამ იდეალებს ის უანგაროდ ემსახურა. ემსახურა საქართველოს, როგორც იდეას, მის ისტორიულ სამართლიანობას, მის დაცვას. ის იყო მოამაგე ადამიანი. ნოდარ ნათაძე საქართველოს იცავდა როგორც კალმით, ასევე იარაღით.

ის იყო ფილოლოგიური, ფილოსოფიური, თეოლოგიური მეცნიერებების მკვლევარი. სოციალურ-პოლიტიკურ ასპარეზზეც არანაკლები წარმატებით მოღვაწეობდა და სულისა და სხეულის ჰარმონია სწორად ესმოდა. ყველა ასპარეზზე იყო განუმეორებელი და ძალიან დიდი ადამიანი.

ძალიან დიდი კულტუროლოგიური მემკვიდრეობა დატოვა, როგორც ქართული კულტურის უდიდესმა მკვლევარმა – „ვეფხისტყაოსნის“ თემები და განმარტებები, „დავითიანი“, ვაჟა ფშაველა თუ სხვა. ყოვლისმომცველ მასშტაბებში ყველა დიდ თემას შეეხო.



***– როგორც ვიცი, ის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იბრძოდა.***

– დიახ, ის, პოლიტიკურის გარდა, საომარ ასპარეზზეც ყოფილა, როგორც ჩვენს ისტორიაში ჩვენს დიდ მოაზროვნეებს კალამი გადაუდიათ და უბრძოლიათ. ის იარაღით ხელში იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. მე ამის მომსწრე ვარ. განსაკუთრებით, აფხაზეთში, სადაც წინა ხაზზე იყო ხოლმე. მაშინ, როდესაც ქვეყანას უჭირდა, საქართველო დიდი საფრთხის წინაშე იდგა, ფაქტობრივად, წინასწარ წაგებულ ომში იბრძოდა თავისი პირუთვნელი ვალის მოსახდელად.

ბატონი ნოდარი უდიდესი ადამიანი გახლდათ. ჩვენთვის, მასთან ახლოს მყოფებისთვის, მისი თანამებრძოლებისთვის, მისი უმცროსი მეგობრებისთვის მის გვერდში ყოფნა დიდი პატივი იყო.

ახლო მეგობრები, უზენაესი საბჭოს წევრები, სხვა ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურადაც მასთან იყვნენ და განსაკუთრებით (ჩემ თვალწინ) მასთან ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ, მაგალითად, როდესაც გაგრა ეცემოდა და გაგრის დაცემის შემდეგაც მოსახლეობას შთააგონებდნენ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

თუნდაც წინასწარ წაგებულ, გახლეჩილ და გაუბედურებულ პირობებში და ორხელისუფლებიანობის დროსაც შესაძლებელია, ადამიანმა სამხედრო ღირსება შეინარჩუნოს. ამით მომავალ თაობას ეუბნებოდა, რომ სამართლიან ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.

***– ბატონ ნოდართან ბევრი ინტერვიუ მაქვს ჩაწერილი. ინტერვიუს ჩასაწერად ხანდახან ჩემთან სახლშიც მოდიოდა. ბატონ ნოდარს 90-იანი წლების მოვლენებზე წიგნი აქვს დაწერილი. მისი სიტყვებია: „მიწა მეჭამა პეშვით, ვიდრე ზვიად გამსახურდიას დავუპირისპირდებოდი“. ამაზე ჩემთან ინტერვიუშიც უსაუბრია. ერთხელ პატრიარქმა განაცხადა, ყველაზე დიდი ცოდვილი მე ვაროო. მის დარად ნოდარ ნათაძემ თქვა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც პირველ პრეზიდენტს დაუპირისპირდა. „მაქვს თუ არა მე ცხოვრებაში ძალიან მძიმე შეცდომა? მაქვს. ვთქვი, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს. ამას მე ვთვლი პირადად ჩემი, როგორც პოლიტიკოსის, როგორც პიროვნების, როგორც კაცის ჩაჭრად. აი, ეს მე ცხოვრებაში სანანებლად მაქვს“. ამ საკითხზე სოციალურ ქსელშიც მსჯელობდნენ. ასეთი სინანული დიდი პიროვნებების თვისებაა. ვიცი, ბოლო პერიოდში თქვენთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამაზე რას იტყვით?***

– არა მარტო ბოლო პერიოდში, არამედ 1992 წლიდან. მოგეხსენებათ, საქართველოში პოლიტიკური კულტურის, სამართლებრივი შეგნებისა და სამოქალაქო ცნობიერების მაღალი სტანდარტები არ არსებობდა, ჩვენ რომ ეროვნული თანხმობის საკითხებს ვერ ვაგვარებთ და ძალა არ შეგვწევს, ამის გამოხატულება იყო ის სამოქალაქო დაპირისპირება, უბედურება, რომელშიც ეს ქვეყანა გადაიჩეხა. მისი შედეგების ლიკვიდაციას დღემდე ვერ ვახერხებთ.

ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა აბსოლუტურად ყველას ეკისრება. ახლა იმ პროცესის აღწერას არ შევუდგები. ძალიან რთული პერიოდი იყო. დიდი იმპერია ინგრეოდა. გლობალიზაციის მთელი რიგი გეოპოლიტიკური პრობლემები იდგა, შინააშლილობა სუფევდა. პოლიტიკური კულტურა ძალიან დაბალი იყო, რომელიც დღესაც იჩენს თავს.

ცდომილებები ყველას ჰქონდა. ბატონმა ნოდარმა, როგორც წინა ხაზზე მდგომმა ადამიანმა, თავისი ცდომილება გააცნობიერა, მოინანია და სხვასაც მოუწოდა, საკუთარ სულში ჩაეხედათ, საკუთარი ხარვეზები აღმოეფხვრათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილიყო ეს დიდი დანაშაულებრივი შეცდომები და მისი ლიკვიდაცია მომხდარიყო, მსგავსი დამთრგუნველი და დამღუპველი მოვლენები არასოდეს განმეორებულიყო.

ამ ადამიანმა ეს შეძლო თავისი სულისა და ცდომილების წინაშე. დანარჩენს ისტორია და ღმერთი გადაწყვეტს. ჩვენი გადასაწყვეტი ეს არ არის.

შემდეგ, როდესაც ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა, ბატონმა ნოდარმა თქვა: ჩვენ ზვიად გამსახურდია, როგორც შარავანდედი, ისე უნდა წარვუდგინოთ მომავალ თაობას და საერთოდ ისტორიას, რამეთუ ზვიად გამსახურდიას გაკეთებული საქმეები რევიზიას არ ექვემდებარება, პირიქით, იმის იდეალიზება უნდა მოვახდინოთ, რა დიადი ამბებიც მოხდა დიდი ტრაგედიის მიუხედავადო.

***– ბატონი ნოდარის პროგნოზები ხშირად მართლდებოდა. წლების წინ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, პუტინს თავისი გენერლები ფეხებით დაკიდებენ, შავი ზღვა კი რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლდებაო. რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით, პროცესები შეიძლება აქეთკენ მიდიოდეს?***

– ცოტა რთული სათქმელია, თუმცა, რაც ბატონმა ნოდარმა ბრძანა, თანდათან იკვეთება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ აქვს ნათქვამი არა მარტო ჩემთან: ფარული მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობსო. ამას დაახლოებით 10 წელია ამბობს. ამ პერიოდში ამაზე განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მას სამხედრო წვრთნები არ გაუვლია, მაგრამ ისეთი ინტუიცია და ხედვა ჰქონდა, ტენდენციებს სწორად აფასებდა და დროს უსწრებდა.

ის სქემა, რომელიც მან დახატა, მაგ ტენდენციების გამომხატველია, რაც მის გამჭრიახობასა და მაღალ პოლიტიკურ ინტუიციაზე მეტყველებს.

პიროვნულად ის იყო მისაბაძი, სიტყვის კაცი, სიტყვის ფასი იცოდა. სიტყვასა და ფიცს არ გატეხდა. ღამის 2 საათზე რომ ეთქვათ, საჭიროა ბრძოლის წინა ხაზზე გასვლა, რთულ, კონფლიქტურ ზონაშიო, არც დაფიქრდებოდა, ისე დაჯდებოდა მანქანაში და გამოგყვებოდა. ამიტომ იყო ხალხის მასებში ასე პოპულარული.

ის ცხოვრობდა ვაჟა ფშაველას მაგალითით ამ პრიმიტიულ, პრაგმატულ და ვაჭრუკანულ სამყაროში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. ძალიან განიცდიდა და თავისი მაგალითით ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს სტანდარტები უკანა პლანზე გადაეწია, წინ მოყვასის სიყვარული და მარადიული ჭეშმარიტებები წამოეწია და ყველა გონიერ, ნორმალურ ადამიანში დაემკვიდრებინა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლების ნაშრომების მისი თარგმანები და კვლევები, ასევე – უმაღლესი კლასიფიკაციის პროფესიონალიზმი.

ის არ იყო ჩაკეტილი ერთ წრეში, პირიქით, ეროვნული ფასეულობების გარდა, ცდილობდა, ეროვნულ იდეებთან მიახლოებისას პიროვნული ფასეულობები აეტანა მაღალ, უნივერსალური იდეალების სამყაროში, იქ დაემკვიდრებინა და იმ მარადიულ ჭეშმარიტებას ზიარებოდა, რომლითაც უნივერსალური სამყაროა აღსავსე. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც ამ გზას ადგნენ. ის იყო მაღალ იდეალებთან ზიარების გზა. ამ ადამიანმა დიდი კვალი დატოვა. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობა ამ კვალს გაჰყვება.

ის იდუმალი კავშირი, რომელიც დღემდე არსებობს ჩვენ და ბატონ ნოდარს შორის, იმ სამყაროდანაც გზას გაგვიკვალავს საქართველოს გამარჯვების, გამთლიანებისა და მისი სრულყოფილი სახის დაბრუნებისკენ. მინდა, საუბარი დავამთავრო ესპანელი პოეტისა და ფილოსოფოსის მიგელ დე უნამუნოს სიტყვებით, რომლითაც მან მთელ ესპანეთსა და კაცობრიობას მიმართა: „როდესაც ადამიანი ტოვებს მიწიერ სამყაროს, თუ დიდი კვალი დატოვა, სხვა ადამიანს უფლება აქვს თქვას, რომ ის ადამიანი იმსახურებდა მარადიულ ცხოვრებას“. ამის გამოთქმის უფლება ადამიანს აქვს. ბატონი ნოდარი ამ იდეების მატარებელი იყო.

ბატონი ნოდარი გამოირჩეოდა მოყვასისადმი თავდადებით და მისი წასვლით ქვეყანამ დიდი ადამიანი დაკარგა.

# „ეს უკრაინის თავდაცვის ძალების კონტრშეტევითი ოპერაციის ჩატარების შედეგად მოხდა“

## რისთვის აგებენ უკრაინელები კედელს ბელარუსის საზღვართან?

მარიამ მჭედლიშვილი

**აგრესორ რუსეთს უკრაინის ფრონტზე კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნა. უკრაინის არმიის მიღწევებსა და ბოლოდროინდელ ოპერატიულ გამარჯვებას ყველა აღიარებს (თუ არ ჩავთვლით პროკრემლისტურ ძალებს საქართველოში). უკრაინის ფრონტზე მიმდინარე ამბებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი იგორ რომანენკო.**



***– მტრის არმიის ხერსონიდან გამოსვლის შემდეგ სახელდება ამის მიზეზის სხვადასხვა ვერსია. ერთ-ერთის თანახმად, შესაძლოა, პუტინმა თავისი ჯარის წინაშე დააყენა უფრო პრიორიტეტული ამოცანა, მაგალითად, დონეცკის მთელი ოლქის ოკუპაცია. ეთანხმებით ამგვარ შეფასებებს?***

– მთავარია, რომ ეს მოხდა უკრაინის თავდაცვის ძალების კონტრშეტევითი ოპერაციის ჩატარების შედეგად ხერსონის მიმართულებით. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციით ჩვენ მოვატყუეთ მოწინააღმდეგე და ვაიძულეთ, გადაესროლა თავისი რეზერვები იზიუმისა და დონეცკის მიმართულებებიდან ხერსონისკენ. როცა მათ ეს გააკეთეს, წარმატებით განვახორციელეთ კონტრშეტევა ხარკოვსა და ლუგანსკის ოლქში და შევქმენით პერსპექტივები ახალი ტერიტორიების გასათავისუფლებლად ჩრდილოეთში. ყველაფერი ხდებოდა ხერსონის კონტრშეტევითი ოპერაციის ორგანიზების მიმდინარეობისას. შემდეგ თავდაცვის ძალები კონცენტრირდნენ ხერსონის მიმართულებაზე. მოწინააღმდეგეები წავიდნენ. ნეგატივი იმაში მდგომარეობს, რომ მათ მოახერხეს მნიშვნელოვანი რაოდენობის შეიარაღების, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის შენარჩუნება და მათი გადაყვანა, გადატანა დნეპრის მარცხენა სანაპიროზე. იქ განლაგებულია 25-30 საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი. მათი გამოყენება შეუძლიათ სხვა მიმართულებებზე.

დონეცკის მიმართულებაზეც მოგახსენებთ. პუტინს მრავალჯერ გაუხმიანებია ეს მიზანი. იგი აცხადებდა, თითქოს ყველაფერი დაიყვანება მხოლოდ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების „გათავისუფლებამდე“ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ლუგანსკის მიმართულებით საპირისპირო ხდება – მიმდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების პროცესი. ბრძოლებია დონეცკის ოლქშიც. მტერს არ შეუძლია წინ წაწევა.

ხერსონის მიმართულებაზე უკრაინის თავდაცვის ძალებისათვის ფრონტის ხაზი შემცირდა. ამიტომ ჩვენი მხრიდან გამოთავისუფლდებიან შესაბამისი ნაწილები, რომლებიც შეიძლება ამოქმედდნენ სხვა მიმართულებებზე.

***– გვესმის, რამდენად მრავალმნიშვნელოვანი იყო ხერსონის გათავისუფლება და რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნება დონეცკის გათავისუფლებას. ამ პერსპექტივას როგორ უყურებთ?***

– ჩვენ წინაშე არ დგას ამოცანა, პირდაპირ შევუტიოთ დონეცკის ოლქს. უკრაინის თავდაცვის ძალები პროფესიონალურად იქცევიან. ისინი ახორციელებენ ე.წ. ასიმეტრიულ მოქმედებებს. იმის მაგივრად, რასაც თქვენ ამბობთ, უფრო რაციონალური იქნებოდა დარტყმის მიყენება ზაპოროჟიეს მიმართულებიდან მელიტოპოლზე, მარიუპოლზე, ბერდიანსკზე, აგრეთვე ჩრდილოეთიდან (ლუგანსკის მიმართულებიდან) სვატოვოს გასათავისუფლებლად და წინსვლა.

დონეცკამდე შეიძლება უფრო გვიან მივიდეთ. ამგვარი მოქმედებების შედეგად მოწინააღმდეგე იძულებული გახდება, თვითონ გამოვიდეს ქალაქიდან, როგორც ხერსონიდან გამოვიდა.

უახლოეს ხანში ვნახავთ, ხერსონის შემდეგ რომელი მიმართულებები იქნება მთავარი. კიდევ ერთი-ორი ოპერატიული გამარჯვება, როგორიც გვქონდა ხარკოვისა და ხერსონის მიმართულებებზე და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა, მივაღწიოთ სტრატეგიული დონის გამარჯვებას, მაგალითად, ქვეყნის სამხრეთის ან აღმოსავლეთის გათავისუფლების კუთხით. ახლა ყირიმისკენ მიმავალი ლოჯისტიკური გზებიც ჩვენი საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

***– ბელარუსთან საზღვარზე აგებენ კედელს. როგორი იქნება მისი ეფექტიანობა იქიდან შემოჭრის შემთხვევაში?***

– ეს კედელი მრავალმხრივად უნდა განვიხილოთ და არა მხოლოდ შეჭრის შემთხვევისათვის. რა გგონიათ, ბალტიისპირეთის ქვეყნები ასეთ კედლებს უსაქმურობის გამო აშენებენ? ეს შესაძლებლობას გვაძლევს, აღვკვეთოთ შემოპარვა, პროვოკაციები (მაგალითად, ლტოლვილებთან დაკავშირებული პროვოკაციები). ეს ასევე სერიოზული დაბრკოლებაა დივერსიული ჯგუფებისათვის.

# კრემლის რეაქცია ზელენსკის წინადადებებზე



უკრაინის პრეზიდენტის გამოსვლამ დიდი ოცეულის სამიტზე კრემლი განარისხა. რუსებს განსაკუთრებით გულში მოხვდათ ზელენსკის სიტყვები, რომ უკრაინა ახალ მინსკის შეთანხმებებს არ დათანხმდება.

– ზელენსკის გამოსვლა დადასტურებაა იმისა, რომ უკრაინას ზავი არ სურს, – თქვა პუტინის თანაშემწე პესკოვმა.

თავხედური განცხადება გააკეთა რუსეთის ნომერ პირველმა დიპლომატმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა. მან ზელენსკის სიტყვებს ომისაკენ წაქეზება უწოდა.

– რეალობა ასეთია: ხერსონის მოსახლეობამ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა რუსეთთან შეერთებას. ასეთივეა დონბასელთა პოზიციაც. ამას ყველამ, მათ შორის ზელენსკიმაც, პატივი უნდა სცეს! – ამბობს ლავროვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, უკრაინამ უნდა გაიყვანოს ჯარი როგორც ხერსონიდან, ასევე ზაპოროჟიეს ოლქიდან და დონბასიდან.

– ყოველივე ეს ახალ სამშვიდობო ხელშეკრულებაში უნდა აისახოს! – აცხადებს ლავროვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მისმა უკრაინელმა კოლეგამ, კულებამ უპასუხა:

– ლავროვი ისეთივე დიპლომატია, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორი! – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

უკრაინელები ოკუპანტებს ახალ-ახალ დარტყმებს აყენებენ. რუსების რიგებში დანაკარგი იზრდება. ციფრობრივად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ტანკები – 2.861 (+13);
საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 5.773;
საარტილერიო სისტემები – 1.850;
თვითმფრინავები – 278;
ფრთოსანი რაკეტები – 399;
გემები – 16.
სულ განადგურებულია 82.080 ოკუპანტი.

ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია. თანახმად აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობისა, რუსეთი ყოველდღე 500-600 ჯარისკაცს კარგავს.

# ალეკო ელისაშვილი: „დავით კეზერაშვილის ადგილი გალიაშია“



– კეზერაშვილის ადგილი არის გალიაში – „ქართული ოცნების“ სირცხვილია, ხელს რომ აფარებდნენ – ისინი წარმოადგენენ მმართველ პარტიას და, კეთილი ინებონ, მიუჩინონ თავისი ადგილი, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან „მოქალაქეების“ ლიდერმა, დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ კეზერაშვილს გარკვეული გარიგების სანაცვლოდ დიდი ხნის განმავლობაში ხელს აფარებდა.

– დავით კეზერაშვილი უნდა იჯდეს ციხეში. ის არის ჩემთვის ყველაზე წმინდა ინსტიტუციის – ქართული არმიის, შეიარაღებული ძალების ქურდი. ეს არის ყველაზე დიდი შავი ლაქა „ქართული ოცნების“, რომ კეზერაშვილს რამდენიმე წლის წინ, გარიგებების საფასურად, ჯერ ბიზნესების გატანის საშუალება მისცეს საქართველოდან, მერე თვალი დახუჭეს ყველაფერზე და ამიტომ „ბაირამობს“ ჩვენთვის და ჩვენი არმიისთვის მოპარული ფულით. ეს არის „ქართული ოცნების“ ბრალი. ახლა გამოიფხიკეს ყურები, არ ვიცი, ვინ უთვალთვალებდა, არა აქვს მნიშვნელობა, რატომ დადის ასე ლაღად ამდენი წელი და რატომ ცხოვრობს არხეინად კურორტიდან კურორტზე კეზერაშვილი ჩვენთვის მოპარული ფულით. წესით, ხელფასზე რომ უნდა ეცხოვრა, როცა მინისტრი იყო და უცებ აღმოჩნდა, რომ მულტიმილიონერია, ქურდია დავით კეზერაშვილი! თან ქურდია ჯარისა და ჩვენი უსაფრთხოების. კეზერაშვილის ადგილი არის გალიაში და „ქართული ოცნების“ სირცხვილია და სამარცხვინო საქციელია, რომ ხელი დააფარეს მას. ახლა უკვირთ, რომ თურმე კურტ ვოლკერს შეხვდა და კურტ კობეინს ზეციურ ლონდონში. რომ გამოდის დროდადრო ღარიბაშვილი პარლამენტში და იძახის: „იცით რა, ფული მოჰპარა ქართულ არმიას“ და რა ვქნა მერე მე, გავვარდე, ბადე ვესროლო თუ ქამანდი, გავკოჭო და ჩამოვიყვანო? კეთილი ინებონ, ისინი წარმოადგენენ მმართველ პარტიას და მიუჩინონ კეზერაშვილს ადგილი იქ, სადაც არის მისი ადგილი, ქურდისა და არმიის მძარცველის, – განაცხადა ელისაშვილმა.

# ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი მარიკა დათუკიშვილი პარტიას ტოვებს



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი მარიკა დათუკიშვილი პარტიას ტოვებს. აღნიშნულის შესახებ დათუკიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

როგორც პოლიტიკოსი აღნიშნავს, ის პარტიასთან ერთად ტოვებს ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს, ქალთა ორგანიზაციის თბილისის თავმჯდომარის პოზიციას, ენმ-ის ქალთა ორგანიზაციის საბჭოს.

დათუკიშვილის განმარტებით, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატად ისეთი პირი დასახელდა, „რომლის ღირებულებები, წარსული საქმიანობა, განათლების დეფიციტი და კიდევ უამრავი თვისება“ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

– ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ მექნებოდა რეაქცია იმის მიხედვით, ვინ და რა ღირებულებების მქონე პირი დასახელდებოდა ენმ-ის თავმჯდომარეობის კანდიდატად. რადგან ახლა ვნახე, რომ დასახელდა პირი, რომლის ღირებულებები, წარსული საქმიანობა, პარტიიდან წასვლა და პარტიაში დაბრუნება-გამოვაჭრება, ყალბი პათოსი, მატერიალური და არამატერიალური სიხარბე, განათლების დეფიციტი, და კიდევ უამრავი თვისება, რომელიც პოლიტიკაში მყოფ პირს არ უნდა ჰქონდეს, არა თუ პარტიის ლიდერს, კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის, რასაკვირველია, დაინტერესების შემთხვევაში, თითოეულ ამ ჩამონათვალზე კონკრეტული ფაქტებით შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ ამჯერად აქ შევჩერდები და მივმართავ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ჩემი „ფეისბუქსტატუსი“ მიიღეთ ოფიციალურ განცხადებად: ვტოვებ პარტია ენმ-ს, ვტოვებ ენმ-ის პოლიტსაბჭოს, ვტოვებ ენმ-ის ქალთა ორგანიზაციის თბილისის თავმჯდომარის პოზიციას, ვტოვებ ენმ-ის ქალთა ორგანიზაციის საბჭოს.

დიდი ბოდიში მანამდე დასახელებულ კანდიდატებთან, ცხადია, მატერიალურ-ინფრასტრუქტურული რესურსი ორ კანდიდატთანაა თავმოყრილი (ჩემთვის ორივე კატასტროფაა) მრავალფეროვნებაც ანტურაჟისთვისაა, რეალურად კი, ეს მასკარადი უკავშირდება გავლენის მოპოვებას – ვინ დაწერს 2024-ის სიებს. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მიშა თავის თავს თვითონ გამოიხსნის, ყალბი გულშემატკივრების დახმარების გარეშე, – წერს დათუკიშვილი.

# თაზო დათუნაშვილი: „ციხეში კოლექტიური ბედუკაძე კოლექტიურმა შაქრო კალაშოვმა ჩაანაცვლა“



– პოლიციური რეჟიმი ისევ თავგასულია, სასამართლო ისევ მურუსიძისაა და ციხეში კოლექტიური ბედუკაძე კოლექტიურმა შაქრო კალაშოვმა ჩაანაცვლა, – ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი თაზო დათუნაშვილი აცხადებს.

„ლელოს“ პოლიტსაბჭოს წევრ თაზო დათუნაშვილის განცხადებით, „128 ლარის ღირებულების ჯართის მოპარვის გამო ციხეში 5 წლით გაუშვეს 23 წლის ახალგაზრდა ბიჭი! მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებით“.

მისი თქმით, აღნიშნული ფაქტი საგანგაშოა და პარალელს წარსულ დროსთან ავლებს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა ტარდებოდა.

– რატომ იყო გაუსაძლისი ის „სისხლიანი 9 წელი“? რატომ უნდა შეცვლილიყო ხელისუფლება? მათ შორის იმიტომ, რომ პრეზიდენტის გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის პირობებში, უბრალო ადამიანი, წვრილმანი დანაშაულისთვის, მაგალითად, 2 ქათმის მოპარვისთვის, წლობით მიდიოდა ციხეში. ამას აკეთებდნენ თავგასული პოლიციური რეჟიმის, მურუსიძის სასამართლოსა და გაუსაძლისი პენიტენციური რეჟიმის საშუალებით! 9 წლის თავზე ეს უბედურება ყველას ოჯახში მივიდა და ამან უდიდესი გავლენა მოახდინა ხელისუფლების ცვლაზე 2012 წელს.

რა განსხვავებას ხედავთ დღევანდელ ვითარებასთან? პოლიციური რეჟიმი ისევ თავგასულია, სასამართლო ისევ მურუსიძისაა და ციხეში კოლექტიური ბედუკაძე კოლექტიურმა შაქრო კალაშოვმა ჩაანაცვლა. და მთავარი, მაშინ ეს სისტემური მიდგომა იყო, ანუ პოლიტიკა, ახლა კი განუკითხაობის შედეგია?

ამ გაკვეთილ გამოვლილი ხალხი ისევ იმას ველოდებით, ყველას ოჯახში როდის მოვა ეს უბედურება? ვერაფერი ვერ ვისწავლეთ წარსულის გაკვეთილით? – აცხადებს დათუნაშვილი.

# ვისი მკვლელობა ცადა თბილისში პაკისტანელმა ქილერმა

ისრაელის სავაჭრო პალატის შეფის შესაძლო ლიკვიდაციას ორი დამოუკიდებელი წყარო ადასტურებს.

ერთი „რადიო თავისუფლებაა“, მეორე კი – გაზეთი „იერუსალიმ პოსტი“.

იციკ მოშე უკვე წლებია, საქართველოში ცხოვრობს და ბიზნესსაქმიანობას ეწევა.

გავლენიანმა ბიზნესმენმა პირველი ინტერვიუ უკვე მისცა „პირველებს“ და თქვა, რომ ისრაელის პრეზიდენტისგან გაიგო, რომ მისი მკვლელობა იგეგმებოდა.

გაურკვეველია ისიც, ვინ და რატომ გეგმავდა მის სავარაუდო ლიკვიდაციას.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, აქამდე სუს-ი მასთან ჩვენების მისაღებად არ მისულა, თუმცა მოშე იმასაც ამბობს, რომ სპეცოპერაციით კმაყოფილია.

ისრაელის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი „პირველებთან“ ამბობს, რომ მისი მკვლელობის მცდელობა, სავარაუდოდ, მის საქმიანობას უკავშირდება.

– იყო ებრაელი და ისრაელი, ბევრი მიზეზი არ სჭირდება ჩვენს მტრებს, რომ რაიმეთი დაგაზიანონ. ჩვენ ვმუშაობთ, რომ რეალური ისრაელი წარმოვადგინოთ და ეს ძალიან ბევრ ქვეყანას ხელს უშლის. ჩვენ ვმუშაობთ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და ჩვენი მეგობრული კავშირები, იმავე საქართველოსთვის, ეს ძალიან ბევრ ქვეყანას არ სიამოვნებს. მე ამ ყველაფერს მეტად ვუკავშირებ ებრაულ საკითხს, ისრაელის მუშაობას. ეს ამბავი გუშინ მოხდა, მე მჯერა, რომ დამიბარებენ საგამოძიებო უწყებაში. გუშინ, როცა ეს ყველაფერი მოხდა, დამირეკა ისრაელის პრეზიდენტმა და ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი მხარდაჭერა, – ამბობს იციკ მოშე.



ბიზნესმენის შეკვეთილი მკვლელობის მცდელობაზე დაკავებულია პაკისტანის მოქალაქე, 37 წლის კაცი.

ის თბილისის ცენტრში, კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა და ქალაქის მასშტაბით შეიარაღებული გადაადგილდებოდა.

სუს-ი ამტკიცებს, რომ მას მკვლელობა ჰქონდა შეკვეთილი, თუმცა თავად დაკავებული ბრალს არ აღიარებს. სწორედ ამ საქმეს უკავშირდება რამდენიმე დღის წინ დიდუბეში ჩატარებული სპეცოპერაცია, რა დროსაც სპეცრაზმმა ირანული ენის თარჯიმანი აიყვანა.

# რუსთავში 18 წლის გოგონამ თვითმკვლელობა ცადა



რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე, 18 წლის გოგომ სუიციდი ცადა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

როგორც სააგენტოსთან ადგილობრივი ამბობს, გოგო კორპუსის სახურავზე აიპარა, სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა, რის შემდეგაც გადმოხტომას აპირებდა.

ახალგაზრდა კორპუსის სახურავიდან პოლიციის, სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა ჩამოიყვანეს და ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც სამედიცინო დაწესებულების გადაუდებელი დახმარების განყოფილების ხელმძღვანელმა თეა გელაშვილმა განგვიცხადა, 18 წლის გოგოს შესაბამისი დახმარება გაუწიეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

# სამოქალაქო აქტივისტები პროკურატურაში ჩივიან

სამოქალაქო აქტივისტები უკანონო თვალთვალის საქმეზე გამოძიების დაწყებას ითხოვენ. ოფიციალური განცხადება შოთაძის უწყებაში რამდენიმე წუთის წინ შეიტანეს. საუბარია „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასულ რეზონანსულ სიუჟეტზე, საიდანაც ირკვევა, რომ სახალხო პროტესტის ჩასახშობად ხელისუფლება მოქალაქეებს არა მხოლოდ უთვალთვალებდა, არამედ მაღაზიების დახლებიდან კარვებსა და აქციებისთვის საჭირო ატრიბუტიკას აქრობდა.



ადამიანები, რომლებიც უნდა იყვნენ დაკავებული მოქალაქეებისა და ქვეყნის უსაფრთხოებით, აღმოჩნდა, რომ დაკავებული არიან იმ ადამიანების დევნით, თვალთვალითა და მიყურადებით, რომლებიც დისკომფორტს უქმნიან ხელისუფლებასა და ბიძინა ივანიშვილს. სიმართლე რომ გითხრათ, საერთოდ არ ვარ ისე განწყობილი, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ და დასჯიან დამნაშავეებს. აუცილებლად დადგება ძალიან მალე ის დრო, როდესაც შეიცვლება ხელისუფლება და ყველა ამ საქმეს მიეცემა სამართლებრივი მიმართულება, – ამბობს დიმიტრი ბიძინაშვილი. სუს-ის უკანონო თვალთვალის პირდაპირი მტკიცებულებების მიუხედავად, პროკურატურა გამოძიებას არ იწყებს.

# 23 წლის ბიჭი 5 წლით ციხეში ნაგავსაყრელიდან გაუჩინარებული რამდენიმე თუნუქის ქილის გამო ჩასვეს

128 ლარის ღირებულების ჯართის გამო 23 წლის ბიჭი ციხეში 5 წლით გაუშვეს – ბექა ხონელიძეს უმკაცრესი განაჩენი ნაგავსაყრელიდან გაუჩინარებული რამდენიმე ფილა თუნუქის გამო გამოუტანეს.

ორი შვილის მამა სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდის. კაცი ირწმუნება, რომ ციხეში იმ დანაშაულის გამო გაუშვეს, რომელიც არ ჩაუდენია.

ბრალდებული ამტკიცებს, რომ ფილები არ მოუპარავს და ჩვენება პოლიციამ გააყალბა.

ხონელიძის დედა „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ მსჯავრდადებულმა რამდენიმე თუნუქის ნაჭერი მიტოვებულ შენობაში ნახა, რომელსაც კარიც კი არა აქვს.

– შვილები მამის გარეშე უნდა გაიზარდონ. ოჯახთან დამშვიდობების საშუალებაც კი არ მისცეს, მოსამართლემ ჩემი შვილის ადგილზე, პროცესზევე დაკავების ბრძანება გასცა, – აცხადებს დაკავებულის დედა.

# ქედის ავტოტრანსპორტის დირექტორი შესაძლოა დააკავონ

საჯარო მოხელე, რომელიც ხელფასს თვეში რამდენიმეჯერ იღებდა, შესაძლოა, დააკავონ. ცნობილია, რომ ქედის ავტოტრანსპორტის დირექტორის წინააღმდეგ გამოძიება გუშინ დაიწყო. გიორგი ბარამიძე დაკითხვაზე უკვე იმყოფებოდა.

აღიარებს თუ არა საჯაროდ ბრალს, ამ დროისთვის უცნობია, რადგან ბარამიძე „ტვ პირველის“ კითხვებს არ პასუხობს. დუმილს ინარჩუნებს ქედის საკრებულოს თავმჯდომარეც, რომელიც საჯარო მოხელის სიმამრია.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, დაკითხვების სერია აჭარის მთავარ პროკურატურაში ამ დრომდე გრძელდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციულ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი ადამიანის დასჯის სამაგალითო ოპერაცია.

– ამ საქმეში ერთ-ერთი ფიგურანტი იქნება დასჯილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამაზე არ უნდა გაჩერდეს პროკურატურა. რას აკეთებს ამ დროს „ოცნება“? ასეთ საქმეებში ისეთ ადამიანებს ირჩევს, რომლებსაც ხელს მარტივად შეაწმენდს. ასეთი აღმოჩნდა გიორგი ბარამიძეც.

ჩვენ მოვუწოდებთ პროკურატურას, არ მოგეშვებით, მხოლოდ ბარამიძით არ უნდა შემოიფარგლოთ. უნდა დასაჯოთ ყველა ის პირი, ვინც აღნიშნულ საქმეში ხელს ურევდა, – ამბობს „ანტიკორუფციული მოძრაობის“ აჭარისა და გურიის ბიუროს ხელმძღვანელი ლაშა ხოზრევანიძე.

აჭარის მთავარი პროკურატურა გიორგი ბარამიძის საქმიანობით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც „ტვ პირველმა“ მისი აღიარებითი „ჩვენება“ გაავრცელა. ინტერვიუში საჯარო მოხელე ადასტურებდა, რომ საბიუჯეტო სახსრებიდან ხელფასს თვეში რამდენიმეჯერ ირიცხავდა.

# კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტებზე 9 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ცხრა პირის მიმართ დაიწყეს.



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, კრედიტის უკანონოდ მიღების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა კომერციულ ბანკში, შეავსეს სესხის განაცხადები, რომლებშიც დააფიქსირეს მცდარი ინფორმაცია მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. დამატებით, მათ წარადგინეს ყალბი ცნობები ფულადი გზავნილების თითქოსდა მიღების თაობაზე, რა გზითაც უკანონოდ მიიღეს ჯამში 1 მილიონ ლარზე მეტი.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 5 წლამდე ვადით.

# პირმა 6 მოქალაქის ფული, 106.788 ლარი, თაღლითურად მიისაკუთრა

პროკურატურის ცნობით, გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

– სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა, რომელსაც გახსნილი ჰქონდა ავტო იმპორტის კომპანია, თითქოსდა საზღვარგარეთ აუქციონებზე ავტომანქანების შეძენის და ჩამოყვანის მიზნით 6 მოქალაქეს მოტყუებით პირად ანგარიშზე თანხები ჩაარიცხვინა, რეალურად კი ავტომანქანების ყიდვა და ჩამოყვანა არ განახორციელა.



აღნიშნული ქმედებით, ბრალდებულმა დაზარალებულების კუთვნილი 106.788 ლარი თაღლითურად მიისაკუთრა, – ნათქვამია განცხადებაში.

მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (4 ეპიზოდი) (თაღლითობა ჩადენილი დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა.

უწყების ცნობით, გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# მირიან კუკავას მკვლელობაში ბრალდებული ალაპარაკებას აანონსებს

მირიან კუკავას მკვლელობაში ბრალდებული ალაპარაკებას აანონსებს.

დავით ჯიჯეიშვილი სასჯელს ახლა უმძიმესი მუხლით იხდის, თუმცა, რა მოხდა ცხვარიჭამიაში საბედისწერო დღეს, ამის შესახებ დეტალურ ჩვენებას სასამართლოს დაკითხვის დროს მისცემს.

სასამართლო სხდომა კი გახმაურებულ საქმეზე იმის დემონსტრირება იყო, როგორ ჩაიკარგა პროკურატურა საკუთარ ვერსიებში.

პროკურორები პროცესზე კიდევ ერთ ბრალდებულს, კუჭავას, უმტკიცებდნენ, რომ მან დანაშაული დამალა, მაშინ როცა განსასჯელის სკამზე ახალგაზრდა მამაკაცი სულ სხვა ბრალდებით ზის.

# ხორცპროდუქტებში ცხენისა და ვირის ხორცი აღმოაჩინეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში, შპს „ლიდერის“ შემოწმებისას, ხორცპროდუქტებში ცხენისა და ვირის ხორცი აღმოაჩინეს.

სებ-ის ცნობით, სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურმა შპს „ლიდერის“ (გლდანი ა/მიკრორაიონი, 48-ე კორპუსის მიმდებარედ) შემოწმებისას, სახეობრივი კვლევისთვის ნიმუშები აიღო და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოიკვლია.

– კვლევის შედეგად ფარშის შემადგენლობაში ცხენისა და ვირის დნმ გამოვლინდა. ობიექტს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, პროდუქციის ამოღება/გამოთხოვა დაევალა, რის აღსრულებაზეც ზედამხედველობას სააგენტო ახორციელებს. ასევე, სააგენტოს ინსპექტორებმა გადამოწმებისას ლაბორატორიული კვლევისთვის ნიმუშები განმეორებით აიღეს, – აცხადებენ სებ-ში.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოკვლევის მიზნით აღნიშნული ფაქტი სამართალდამცავ უწყებებს გადასცა.

უწყების ცნობით, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო განაგრძობს სურსათის ნიმუშების აღებასა და კვლევას სხვადასხვა პარამეტრზე.

## კალეიდოსკოპი

### პოლიციელებს ხელჯოხი პისტოლეტი ეგონათ და უსინათლო დააპატიმრეს



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიკ-სიტიში პოლიციელებმა შეცდომით უსინათლო მამაკაცი დააპატიმრეს, ვინაიდან მისი ხელჯოხი ცეცხლსასროლი იარაღი ეგონათ. ამის გამო ისინი დროებით სამსახურიდან გაათავისუფლეს.

61 წლის ჯეიმს ჰოჯესი ქუჩაზე შუქნიშნის ამკრძალავ სიგნალზე გადადიოდა. ამ დროს მასთან პოლიციელი ჯეიმ გოდი მივიდა. პოლიციელის მოხსენებაში წერია, რომ ჰოჯესს შარვლის უკანა ჯიბეში თეთრსახელურიანი ვერცხლისფერი პისტოლეტი ედო.

პოლიციელთა სამხრე კამერის ჩანაწერის თანახმად, გოდი მიდის ჰოჯესთან და ეკითხება, თუ რა უდევს შარვლის უკანა ჯიბეში. ამაზე მამაკაცი პასუხობს, რომ ის ორიენტაციის საშუალებაა. გოდი მამაკაცს სთხოვს, საკუთარი სახელი და დაბადების თარიღი დაუსახელოს, რაზეც მისგან უარყოფით პასუხს იღებს.

– გინდათ, რომ ხელბორკილები დაგადოთ? – ეკითხება მამაკაცს ქალი პოლიციელი.

ჰოჯესი ინტერესდება, თუ რაშია ის ეჭვმიტანილი, რაზეც ქალი ეუბნება, რომ მას უკანა ჯიბეში პისტოლეტი უდევს. ამის შემდეგ მამაკაცი ჯიბიდან დაკეცილ ხელჯოხს იღებს და პოლიციელს უჩვენებს. ისინი ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ და ჰოჯესი პოლიციელს ეკითხება, აპირებენ თუ არა მის დაკავებას.

გოდი მას ისევ სახელსა და დაბადების თარიღს ეკითხება, რაზეც მამაკაცისგან კვლავ უარყოფით პასუხს იღებს და ჰოჯესი მის უფროსთან მიყვანას მოითხოვს. იქვე ახლოს მყოფი უფროსი, გვარად ჰარისონი, უსინათლო მამაკაცთან მიდის და უხსნის, რომ მისი ხელჯოხი იარაღს ჰგავს და რომ ის ვალდებულია, საკუთარი ვინაობა დაასახელოს, როდესაც ამას მისგან პოლიციის თანამშრომელი მოითხოვს. ჰოჯესი კი მას პასუხობს, რომ პოლიციელთა საფუძვლიანი ეჭვის არარსებობის შემთხვევაში, ის ვალდებული არ არის, საკუთარი ვინაობა დაუსახელოს. ამის შემდეგ უსინათლო მამაკაცს ხელბორკილები დაადეს და პოლიციის მანქანში ჩასვეს. შემდეგ კი მას პოლიციელებისთვის ძალის გამოყენების გარეშე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს.

ფლორიდის შტატის კოლუმბიის ოლქის შერიფის თქმით, უსინათლო მამაკაცის დაპატიმრება სრულიად მიუღებელი ქმედება იყო. გამოძიებამ აჩვენა, რომ პოლიციელებმა დაარღვიეს თანამდებობრივი ინსტრუქციები. ჰარისონი შვიდი დღით ჩამოაშორეს სამსახურს ანაზღაურებისა და ორი წლით თანამდებობრივი დაწინაურების გარეშე. გოდი ორი დღით ჩამოაშორეს სამსახურს ხელფასის დაკავებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ვოლოდიმირ ზელენსკიმ დიდი ოცეულის სამიტს მიმართა



ინდონეზიაში დიდი ოცეულის სამიტი გრძელდება. როგორც ცნობილია, მას პრეზიდენტი პუტინი არ დაესწრო. მიზეზი ნათელია: კატასტროფა ხერსონთან.

რუსეთს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი.

უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ სამიტს ონლაინრეჟიმში მიმართა. დამსწრე საზოგადოება უკრაინის პრეზიდენტს ტაშით შეხვდა. მსოფლიოს თვალში ის უკვე გადაიქცა დემოკრატიის დამცველ გმირად, რომელიც ბოროტებას უმკლავდება.

– დასაწყისისათვის მსურს, ბოდიში მოგიხადოთ! სამწუხაროდ, სამიტზე ჩამოსვლა ვერ მოვახერხე. ჩემს ქვეყანაში ომია და მე არ შემიძლია, ასეთ დროს უკრაინას მოვწყდე! – ასე დაიწყო პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა.

ზელენსკი უკანასკნელ მოვლენებს, განსაკუთრებით ხერსონის გათავისუფლებას, გაკვრით შეეხო. მან მხოლოდ ის თქვა, რომ უკრაინულმა არმიამ უმაგალითო გმირობა გამოიჩინა.

სამაგიეროდ, პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა რუსეთ-უკრაინას შორის ზავის თემაზე, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს აღელვებს. ზელენსკიმ ხაზგასმით განაცხადა, რომ ახალ მინსკის შეთანხმებებს უკრაინა არ დათანხმდება. მან ზავის შემდეგი პირობები წამოაყენა:

1. რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
2. სასურსათო უსაფრთხოება;
3. ენერგეტიკული უსაფრთხოება;
4. დეპორტირებულთა და ტყვეთა გაცვლა;
5. გაეროს სტატუსის შესრულება, უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება;
6. საომარი მოქმედებების შეწყვეტა, უკრაინის ტერიტორიიდან რუსული არმიის გაყვანა;
7. სამართლიანობის აღდგენა;
8. შემდგომი ესკალაციის არდაშვება;
9. ომის დამთავრების ოფიციალური დაფიქსირება.

დამსწრე საზოგადოება ამ სიტყვებს ტაშით შეხვდა, გარდა, რა თქმა უნდა, რუსეთის წარმომადგენლისა. ეს კანონზომიერია. ზელენსკიმ ჭეშმარიტად სამშვიდობო გეგმა წარმოადგინა. მას, ისევე, როგორც უკრაინელ ხალხს, არ სურს ნებისმიერ ფასად მშვიდობა. ზელენსკი ახორციელებს იმას, რაც უკრაინელებს სურთ. ახლა ამაში მთელი მსოფლიო დარწმუნდა.

## ბაიდენი ერდოღანს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი თავის თურქ კოლეგა ერდოღანს შეხვდა. ეს მოხდა ინდონეზიაში, დიდი ოცეულის სამიტზე.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ერდოღანთან ერთად, მას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავუშოღლუ და თავდაცვის მინისტრი ანკარი.

## აშშ უკრაინის მასობრივ დაბომბვებს გმობს

აშშ უკრაინის მასობრივ დაბომბვებს გმობს. ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სალივანმა.

– ჩვენ კვლავაც დავეხმარებით უკრაინას, მივაწვდით ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს, – ამბობს სალივანი.

## ბრძოლები დონბასში



დონბასში კვლავ მძიმე ბრძოლებია. რუსი ოკუპანტები ცდილობენ დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნებასა და ახლის დაპყრობას. ხერსონის დატოვების შემდეგ რუსეთი მთელი დონბასის ოკუპაციას შეეცდება.

რუსეთი განაგრძობს შეტევებს ავდეევკაზე, უგლედარზე, სოლედარზე, ბახმუტზე. მიუხედავად ამისა, უკრაინელები პოზიციებს ინარჩუნებენ. ოკუპანტებმა ვერც ამჯერად წაიწიეს წინ.

– ჩვენმა ჯარისკაცებმა მტრის 10 შეტევა მოიგერიეს, – იტყობინება უკრაინის გენშტაბი.

სამაგიეროდ, უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დონეცკზე, გორლოვკასა თუ სხვა ქალაქებზე. ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია. ეს განსაკუთრებით შეეხებათ ახლადმობილიზებულებს, რომლებიც პუტინის ბრძანებით დონეცკში გადაისროლეს. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა ამ ქალაქში.

## ხერსონსჩინა: რუსი ოკუპანტები უკანდახევას განაგრძობენ



ხერსონსჩინის გათავისუფლების პროცესი გრძელდება. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ნატალია გუმენიუკის განცხადებით, უკრაინულმა არმიამ აიძულა ოკუპანტები, წინასწარ გამზადებული სიმაგრეებიდან 15-20 კმ-ით უკან დაეხიათ. მარცხით დამთავრდა ოკუპანტების მცდელობა, დაებომბათ ხერსონი. საპასუხო გასროლებით უკრაინელებმა მტრის ყველა საცეცხლე წერტილი გაანადგურეს. კახოვკის ჰესმა ელექტროენერგიის გამომუშავება შეწყვიტა. ამის თაობაზე რუსეთის დიქტატორმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

– კახოვკის ჰესის გაჩერება უკრაინული არმიის მიერ რაკეტების დაშენამ გამოიწვია, – ამტკიცებს პუტინი. სუკ-ის ექსრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი, მიმოიხილავს რა შექმნილ მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ ხერსონთან უკრაინელებს უკვე გააჩნიათ უპირატესობა არტილერიაში. რუსებიც იძულებულნი ხდებიან, უკან დაიხიონ.

– სავარაუდოდ, უკრაინული არმია აიძულებს ოკუპანტებს, ისეთ მანძილზე დაიხიონ, რომ ხერსონს ქვემეხებით ველარ მისწვდნენ, – თქვა შვეცმა.

## რუსეთი უკრაინის დაბომბვას განაგრძობს

ფრონტზე მარცხმა ოკუპანტები გააბოროტა. როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინის დაბომბვა გაძლიერდა.

რუსებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმები სუმისა და ჩერნიგოვის ოლქებზე. დაიბომბა ქალაქები ზაპოროჟიე, ხარკოვი, ავდეევკა, სოლედარი, ბახმუტი, ოპიტნოე, დაბა პესკი. კვლავ დაარტყეს უკრაინის დედაქალაქ კიევს. ოკუპანტები გეგმაზომიერად ანადგურებენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. ამას კი, ზამთრის დადგომასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

– დანგრეულია სახლები, ხიდები, თბოელექტროსადგურები, სკოლები და ა.შ. – იტყობინება ტელეკომპანია „პრიამიი“.

მიუხედავად ამისა, უკრაინელთა 88% ომის გამარჯვებამდე გაგრძელების მომხრეა. ასეთია კიევის სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მონაცემები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### კალეიდოსკოპი

## გოგონა თავისი ახალი ავტომობილით ბოიფრენდთან ერთად ტბაში აღმოჩნდა



ინგლისის ქალაქ ოქსფორდის მკვიდრმა, 18 წლის ლეია დარნელმა, ბრწყინვალედ ჩააბარა მანქანის ტარების გამოცდა და მალევე საკუთარი ახალი ავტომობილი ტბაში ჩაძირა.

გოგონამ ავტომობილი 2022 წლის იანვარში იყიდა, როდესაც ავტოსკოლაში მანქანის მართვას სწავლობდა, მართვის მოწმობის მიღებისთანავე კი საკუთარი ახალი ავტომობილის საჭეს მიუჯდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ გოგონა თავის ბოიფრენდთან ერთად ფეიერვერკების სანახავად გაემართა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ისინი ნისლიან და წვიმიან ამინდში სახლში ავტომობილით ბრუნდებოდნენ. მკვეთრ მოსახვევში გოგონამ მანქანის მართვას თავი ვეღარ გაართვა, ავტომობილი გზიდან გადავიდა და ტბაში ჩავარდა.

დარნელის თქმით, სანამ ის და მისი ბოიფრენდი მანქანის კარის გაღებას ცდილობდნენ, სალონი წყლით სწრაფად ივსებოდა.

– მახსოვს, როგორ ვუყურებდით ერთმანეთს და ვფიქრობდით, რომ ეს დასასრული იყო, – იხსენებს გოგონა.

როდესაც წყლის დონემ კისრამდე მიაღწია, მან ფეხის დარტყმით მოახერხა კარის გაღება და ნაპირზე ამოსვლა. გოგონამ პოლიციაში დარეკა და მომხდარის თაობაზე აცნობა. მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ და ამწეს დახმარებით მანქანა წყლიდან ამოიტანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ვახიბერაძე – პირველი ქართველი, რომელიც სათამაშოდ უკრაინაში დაბრუნდა



ბექა ვაჩიბერაძე უკრაინაში ერთ-ერთ ტალანტად მიიჩნეოდა და იქაურებმა ასაკობრივ ნაკრებებშიც კი ათამაშეს. საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ქუთაისის ტორპედოს ყოფილი ფეხბურთელის, ზაზა ვაჩიბერაძის შვილი 11 წლის იყო, უკრაინაში ჯერ ოდესის ჩერნომორეცის აკადემიაში ვარჯიშობდა, შემდეგ – დონეცკის შახტარში. ამ გუნდის 19-წლამდელებში კაპიტანი და ლიდერი იყო და მისი მაისურით 2015 წელს იუნიორების ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლონდონის ჩელსის წინააღმდეგ (2:3) ითამაშა.

2017 წელს ბექამ უკრაინის პასპორტის პარალელურად საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო და ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაშიც სურდა, მაგრამ ბიუროკრატიული წესების გამო ეს აღარ მოხდა.

ვაჩიბერაძე უკრაინაში ომის დაწყებას ოდესაში შეესწრო და ადგილობრივი ჩემპიონატი რომ ჩაშალა, 26 წლის ნახევარმცველმა ფიფას ახალი წესით ისარგებლა და სათამაშოდ ქუთაისის ტორპედოში ჩამოვიდა. ბექამ ეროვნულ ლიგაში 18 მატჩი ჩაატარა და ჩერნომორეცს დაუბრუნდა, მაგრამ მალევე ხარკოვის მეტალისტი 1925-ში გადავიდა.

ახალი გუნდის შემადგენლობაში მან უკვე 6 მატჩი ჩაატარა. უკრაინულმა მედიამ ქართველთან მცირე ინტერვიუ ჩაწერა.

***– 2022 წლის პირველი ნახევარი საქართველოში გაატარეთ. რამ გადაგაწყვეტინათ უკრაინაში დაბრუნება? არ გეშინიათ?***

– თავიდანვე გეტყვით, რომ არანაირი შიში არ მქონია. უკრაინაში ჩემი მეორე სახლია, 11 წლიდან აქ ვცხოვრობდი... ამიტომ არანაირი შიში არ მქონია...

***– მეტალისტი 1925-ის ვარიანტი საიდან გამოგიჩნდათ?***

– კლუბის ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ, ვილაპარაკეთ, მერე გუნდის მთავარ მწვრთნელ ვალერი კრივენცოვთან განვიხილეთ ეს საკითხი და... აი, აქ ვარ...

***– აქ ბევრ ძველ ნაცნობს ნახავდით...***

– კი, გუნდში ბევრს ვიცნობ. ბორიაჩუკთან, რუსინთან და გაბელკოსთან ერთად ადრეც მითამაშია, ბევრი დრო გავატარეთ ჯერ კიდევ 16-წლამდელებიდან. ბორიაჩუკთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვიყავი გამოძახებული, 1996 წელს ვართ ორივე დაბადებული...

***– რამდენიმე სიტყვით მოუყევით გულშემატკივრებს თქვენ შესახებ მათ, ვისაც, თქვენი თამაში აქამდე არ უნახავს. რომელ პოზიციებზე თამაშობთ? რომელია თქვენი ძლიერი მხარეები და რომელ კომპონენტში უნდა მოუმატოთ?***

– შემიძლია, ვითამაშო მოედნის ცენტრში როგორც დასაყრდენად, ისე ფორვარდის უკან. ძლიერი მხარეები? ალბათ, ტექნიკა. მომატება კი „ფიზიკაში“ მჭირდება...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

### კალეიდოსკოპი

## ჩამოვარდნილმა მეტეორიტმა მამაკაცს მთელი ქონება გაუნადგურა და მისი ძაღლიც იმსხვერპლა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში კალათბურთის ზომის მეტეორიტი ადგილობრივი მცხოვრების სახლის გვერდით ჩამოვარდა, რის შედეგადაც მისი მთელი ქონება განადგურდა, ხოლო ძაღლი დაიღუპა.

თავად დაზარალებულს დასტინ პროსიტს მისი ქონების გამანადგურებელი მეტეორიტი არ უნახავს.

– არ დამინახია, თუ ეს რა იყო. ყველამ, ვისაც კი ვესაუბრე, მითხრა, რომ დაინახეს ციდან ჩამოვარდნილი ცეცხლოვანი ბურთი, – განმარტა მამაკაცმა.

მისმა მეზობლებმა გამოაქვეყნეს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მეტეორიტის ჩამოვარდნაა ასახული. კადრებში ჩანს, თუ როგორ ანათებს გარემოს ცეცხლოვანი ბურთი.

– დაცემის ძლიერი ხმა გავიგონე და დამწვრის სუნი ვიგრძენი, გარეთ გამოვედი და სახლის წინა ნაწილი ერთიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მეტეორიტების ცვენის ყურება, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩემ ეზოში ჩამოვარდებოდა და მთელ ქონებას გამინადგურებდა, – განაცხადა პროსიტმა.

მისი ერთ-ერთი ძაღლი, სახელად ტაგი, ამ დროს სახლში აღმოჩნდა და დაიღუპა. ადგილობრივი სახანძრო სამსახურის წარმომადგენელმა კლეიტონ ტომასმა განაცხადა, რომ აქამდე მას არასოდეს ჰქონია შემთხვევა, რომ მეტეორიტის ჩამოვარდნის გამო გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაზე ემუშავა. ადგილობრივ ხელისუფლებაში განაცხადეს, რომ სახლზე მეტეორიტის დაცემის გამორიცხვა არ შეიძლება, თუმცა ხანძრის გაჩენის მიზეზების ძიება გრძელდება.

## ქალმა ორი წლის განმავლობაში ლატარიაში ჯეკპოტი ორჯერ მოხსნა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მცხოვრებმა ქალმა ორი წლის განმავლობაში ლატარიაში ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი და საკმაოდ მსხვილი მოგება მიიღო. ბარბარა გალატმა გადაწყვიტა, ლატარიის გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა და ბილეთები ქალაქ როლში ავტოგასამართ სადგურზე იყიდა. გათამაშების შედეგად ქალის მიერ ბილეთში ჩაწერილი ხუთივე ციფრი დაემთხვა გათამაშებაში ამოსულს და შედეგად ქალის მოგებამ 368,5 ათასი დოლარი შეადგინა. ქალი მოგების მისაღებად ლატარიის შტაბ-ბინაში მივიდა. აღმოჩნდა, რომ ეს ლატარიის შტაბ-ბინაში ქალის მეორე ვიზიტი იყო. 2021 წელს მისმა მოგებამ 824,1 ათასი დოლარი შეადგინა.

## მამაკაცმა ფანჯრიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა



ჩინეთის გუანდუნის პროვინციაში მამაკაცმა შიშველი ხელებით მოახერხა მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდნილი ბავშვის დაჭერა და ის სიკვდილს გადაარჩინა.

ბიჭი შენობის მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა. ამ დროს მამაკაცი ავტომობილში ჯდებოდა, ყვირილი მოესმა, შეტრიალდა და ბავშვის დაჭერა მოახერხა.

მამაკაცმა ბავშვის ბოლომდე ხელებში შეკავება ვერ შეძლო, თუმცა ამით დაცემის სიმძიმე შეასუსტა და ბავშვს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია. თავად მამაკაცმა კუნთების დაზიანება მიიღო.

– ბავშვის გადარჩენა უმთავრესია. თუ მომავალშიც გავხდები მსგავსი სიტუაციის მომსწრე, ისევ იმავეს გაკეთებას შევეცდები, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# უელსელთა მწვრთნელი ბურთაობას გვიქებს



19 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შემოდგომის სერიების დასკვნით ტესტ-მატჩს კარდიფში, „პრინციფალითიზე“ უელსის ეროვნულ გუნდთან გამართავს.

უელსში რაგბის თამაში 1850 წელს დაიწყეს. ეროვნული გუნდი პირველად 1881 წელს შეკრიბეს და ინგლისს ეთამაშნენ. ირლანდიასთან და შოტლანდიასთან ერთად, უელსს ექვს ერსა და მის წინამორბედ ტურნირებში ყველაზე მეტჯერ – 127-ჯერ აქვს ნათამაშები და 28-ჯერ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ბოლოს 2021 წელს.

1987 წლიდან დღემდე „დრაკონებმა“ ცხრავე მსოფლიო თასზე ითამაშეს და საუკეთესო შედეგი პირველ გათამაშებაში ჰქონდათ, როდესაც მესამე ადგილი დაიკავეს, 2011 და 2019 წლებში კი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

2023 წლის მსოფლიო თასზე კი ჯგუფში ავსტრალიის, ფიჯის, საქართველოსა და პორტუგალია/აშშ-ს შორის გამარჯვებულთან ითამაშებს.

ეს იქნება მეოთხე შეხვედრა ჩვენი და უელსის ნაკრებებს შორის: პირველი ჯახი 2017 წლის ნოემბერში, ასევე „პრინციფალითიზე“ შედგა და 55.310 ქომაგმა დაძაბული თამაში იხილა. „ბორჯღალოსნებს“ შანსი ჰქონდათ, მრისხანე მეტოქესთან ფრედ ეთამაშათ, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლებმა 13:6 იმარჯვეს.

2019 წლის მსოფლიო თასზე უელსს იაპონიაში ვეთამაშეთ და მეტოქემ დამაჯერებლად მოიგო – 43:14.

2020 წლის შემოდგომის ერთა თასზე „დრაკონებს“ უკვე ლიანელში, „პარკ სკარლეტზე“ ვესტუმრეთ, მასპინძლებმა ორი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი ჯარიმა გაიტანეს და 18:0 მოიგეს.

უელსის მთავარმა მწვრთნელმა უეინ პივაკმა უკვე დაასახელა ის შემადგენლობა, რომლითაც „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ ითამაშებს. მან შეინარჩუნა ის ბირთვი, რომლითაც გასულ შაბათს არგენტინა დაამარცხა.

უეინ პივაკი:

– ყურადღებით შევისწავლეთ საქართველო, რომელიც უწინდელზე უკეთ ბურთაობს. მათ ჰყავთ ძალიან კარგი ფრთის მოთამაშეები და შედეგიანად იყენებენ ფეხს. გუნდს შენარჩუნებული აქვს ფიზიკური სიძლიერე, რისი მომსწრენიც სამოასთან თამაშისას გავხდით. ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ მთელი 80 წუთის განმავლობაში და გამოვასწოროთ დისციპლინა. შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ საქართველოს პატივისცემით ვეპყრობით, რადგან ის უკეთესი გუნდია და სრულფასოვანი ტესტის მოლოდინი გვაქვს. კარგია, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი მწყობრშია. იმავე სქემას უნდა მივყვეთ, რამაც არგენტინასთან მატჩში წარმატება მოგვიტანა. ბურთის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ექნება. საწყის წუთებში ყურადღებით უნდა ვიყოთ. გასულ თამაშებში მეტოქეებს არაერთი ქულა ვაჩუქეთ, ამდენად, დისციპლინირებულ თამაშს თავიდანვე ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

**საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხას“ გამგეობის წევრები**



იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველის ერის სიამაყე, ქვეყნის ავ-კარგის მცოდნე და მიმდინარე მოვლენების საღად შემფასებელი, ჭეშმარიტი განმანათლებელი და ახალგაზრდების დამრიგებელი, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით გამსჭვალული და მასთან დახმარებისთვის მისული თითოეული მოქალაქის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, „საქართველოს სახალხო ფრონტის“ ლიდერი, საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხას“ დამფუძნებელი და მისი ერთხმად არჩეული თავმჯდომარე, პროფესორი

**ნოდარ ნათაძე**

მის ოჯახთან და თანაპარტიელებთან ერთად, თანაგრძნობას უცხადებენ სრულიად საქართველოს!

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# რონალდუ და მანჩესტერი ურთიერთობებს არკვევენ



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელმა შემტევმა კრიშტიანუ რონალდუმ მედიასთან ისაუბრა, რომ კლუბში დაალალატეს, ხოლო მთავარი მწვრთნელის, ერიკ ტენ ჰაგის მიმართ არავითარ პატივისცემას არ გრძნობს, რადგან მის მიმართ პატივისცემა არც თავად მწვრთნელს აქვს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით იუნაიტედის ხელმძღვანელობამ სასწრაფო სხდომა მოაწყო. ბრიტანული მედიის ცნობით, აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ არნოლდი, მთავარი მწვრთნელი ერიკ ტენ ჰაგი, სპორტული დირექტორი ჯონ მერტო და თანამფლობელი ჯოელ გლეიზერი რიგგარეშე სხდომაზე შეხვდნენ, სადაც რონალდუს ქმედება განიხილეს.

წყაროს ცნობით, რონალდუს კონტრაქტის გაწყვეტაც ემუქრება, რადგან მან შრომითი ხელშეკრულების პირობები დაარღვია.

კლუბი კი რონალდუს ინტერვიუს გამოეხმაურა.

– კლუბი საკუთარ შეხედულებას გაავრცელებს მას შემდეგ, რაც ყველა ფაქტს გამოიკვლევს. ჩვენი ყურადღება მიმართულია სეზონის მეორე ნაწილისთვის მზადებისკენ და ფეხბურთელებს, მწვრთნელს, სტაფსა და გულშემატკივრებს შორის ერთიანობისა და რწმენის გაღვივებისკენ.

ამასობაში რონალდუმ მორიგი საგულისხმო ინფორმაცია გაავრცელა და სატელევიზიო შოუში აღნიშნა, რომ იუნაიტედის ამერიკელ მფლობელებს კლუბი საერთოდ არ ანაღვლებთ. მისი თქმით, იუნაიტედში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავად მისი ვარსკვლავური სტატუსისა, მას გლეიზერთა ოჯახის წევრები არასდროს შეხვედრიან. რონალდუსვე მტკიცებით, გლეიზერები იუნაიტედში მარკეტინგულ ინტერესებს უფრო ხედავენ, ვიდრე საფეხბურთოს და ამით საკუთარ ჯიბეს ისქელებენ.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– კლუბის მფლობელებს, გლეიზრებს, არ აღელვებთ კლუბი, როგორც პროფესიონალური სპორტის ნაწილი. როგორც უკვე იცით, მანჩესტერი მარკეტინგული კლუბია. ისინი ფულს მარკეტინგიდან შოულობენ. სპორტი... ჩემი აზრით, ეს მათ საერთოდ არ აღელვებთ. თავად გლეიზერებთან არასდროს მისაუბრია. მათ მთელი ძალაუფლება პრეზიდენტსა და სპორტულ დირექტორს გადასცეს.

რონალდუმ ის მიზეზიც დაასახელა, თუ რატომ გამოტოვა გასულ ზაფხულს გუნდის წინასასეზონო სამზადისი.

– საქმე ჩემი ქალიშვილის, ბელას მძიმე ავადმყოფობას ეხებოდა. კლუბის დირექტორსა და პრეზიდენტს ველაპარაკე, მაგრამ არ დაიჯერეს, რომ უბედურება ხდებოდა. ამის გამო თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ისეთი სახე მიიღეს, თითქოს დაიჯერეს, მაგრამ, ამავდროულად... არასოდეს გამომიყენებია ჩემი ოჯახის ჯანმრთელობა ფეხბურთში არც ახლა, არც 10 წლის წინ და არც 10 წლის შემდეგ გამოვიყენებ.

მართლაც რთული დასაჯერებელი იყო, რადგან ისინი ჩემს სიტყვებში დაეჭვდნენ და ვერ დაიჯერეს, რომ თავს მართლაც ცუდად ვგრძნობდი. ამ დროს კი ჩემი ქალიშვილი და ჯორჯინა საავადმყოფოში იწვნენ.

1 კვირა საავადმყოფოში გავატარეთ, რადგან ბელას დიდი პრობლემა ჰქონდა და ამის გამო წინასასეზონო სამზადისში ვერ ჩავერთე.

არ მინდოდა ოჯახის დატოვება და ტურნეზე წასვლა, რადგან ვგრძნობდი, რომ ეს არასამართლიანი იქნებოდა. ამიტომაც არ წავსულვარ.

# კვარაცხელია მსოფლიოს მიღმა ნაკრებში მოხვდა

პრესტიჟულმა იტალიურმა გამოცემა „გაძეტა დელო სპორტმა“ იმ ფეხბურთელთა სიმბოლური ნაკრები შეადგინა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით კატარში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებენ. აპენინური მედიის აზრით, მათი ნახვა ყატარის სტადიონებზე, გულშემატკივრებს არანაკლებ სიამოვნებას მოჰგვრიდა, ვიდრე იმ ვარსკვლავებისა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. გასახარია, რომ ამ სიმბოლურ ნაკრებში ხვიჩა კვარაცხელიაც მოხვდა. აქვეა მისი თანაგუნდელი ვიქტორ ოსიმენიც.

**სრული თერთმეტეული კი ასე გამოიყურება:**

**მეკარე:** დონარუმა (იტალია, პსჟ);

**დაცვა:** კუადრადო (კოლუმბია, იუვენტუსი), შკრინიარი (სლოვაკეთი, ინტერი), ალაბა (ავსტრია, რეალი), რობერტსონი (შოტლანდია, ლივერპული);

**ნახევარდაცვა:** ვერატი (იტალია, პსჟ), ბარელა (იტალია, ინტერი), სალაჰი (ეგვიპტე, ლივერპული), კვარაცხელია (საქართველო, ნაპოლი);

**თავდასხმა:** ოსიმენი (ნიგერია, ნაპოლი), ჰალანდი (ნორვეგია, მანჩესტერ სიტი).

# საქართველო მაროკოსთან სრულად შეიკრიბა



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები წლის ბოლო მატჩში მონაწილეობის მისაღებად არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ჩავიდა და დღეს მაროკოს ნაკრებს ეთამაშება.

შარჯაში გამგზავრებამდე ვილი სანიოლის გუნდმა თბილისში კვლავ არასრული შემადგენლობით ივარჯიშა, ხოლო საემიროებში გურამ კაშია, გიორგი ჩაკვეტაძე, ოთარ კიტეიშვილი, გიორგი აბურჯანია და გიორგი ქვილითაია შეუერთდნენ.

სრული შემადგენლობით საწვრთნელი პროცესი საქართველოს ნაკრები მატჩის მასპინძელ სტადიონზე გუშინ გამართა. ჯერ კიდევ უცნობია, ითამაშებს თუ არა ჩაკვეტაძე, სხვა ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად არის.

**დღევანდელი მატჩისთვის საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით მოემზადა:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ჯემალ ტაბიძე (დინამო თბ), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ლეხი, პოლონეთი), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), სანდრო ალთუნაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი (ორივე დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი გოჩოლეიშვილი (საბურთალო);

**თავდასხმა:** გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი).

საქართველოსა და მაროკოს ნაკრებების მატჩი 17 ნოემბერს, 20:00 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 2. ცნობილი ქართველი ექიმი-ინფექციონისტი; 3. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 4. თაღლითი, მატყუარა ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 12. უბანი ძველ თბილისში; 13. ნანადირევისგან მომზადებული ფრანგული ბულიონი; 16. არჩევითი ორგანო ქალაქის თვითმმართველობაში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. აბრეშუმის ჭიის კვერცხები; 23. წრის ნაწილი.

**თარაზულად:** 6. საფრანგეთის ჰიმნი; 7. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 8. ქართული ნაციონალური კერძი; 9. ტროპიკული ლერწმისგან დამზადებულ მასალაზე შესრულებული ეგვიპტური ხელნაწერი; 14. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 15. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი; 18. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული სილიკატური მასა; 20. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 22. არომატიზებული, დასპირტული ღვინო; 24. ფულადი ჯილდო; 25. წითელი ფერის ნახევრადმშრალი ქართული ღვინო; 26. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რეზერვი; 2. ვესტფალია; 3. ჟორდანია; 4. ჰეროიკა; 5. მეტისი; 9. ტვისტი; 11. რონდელი; 12. მიკადო; 14. კალმანი; 18. არავა; 19. თართი.

**თარაზულად:** 4. ჰამერი; 5. მალევიჩი; 6. ბოდბე; 7. პროთეზი; 8. სტრიტი; 10. ოდერი; 13. ვაკისი; 15. აქციზი; 16. იოდი; 17. ზარა; 20. მაჯამა; 21. ქოჩარი; 22. პავიანი; 23. თუშეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭრიჭინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. რეტროგრადი; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. კასტელი; 13. ბომბორა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ალკარასი; 21. რიეკა; 23. ნოკია.

**თარაზულად:** 6. ტროგლოდიტი; 7. შაჰნამე; 8. გიშერი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. განჯა; 20. კონკური; 22. ვანდომი; 24. მიოპია; 25. გლიპტიკა; 26. ჯაკუზი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7396

ევრო — 2.8563

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2664

100 რუსული რუბლი — 4.5232

## ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისათვის




## პიკე, შესაძლოა, პოლიტიკაში წავიდეს



ჟერარ პიკემ საფეხბურთო კარიერა ახლახან დაამთავრა და შესაძლოა ის პოლიტიკაში ვიხილოთ, რადგან პიკემ განაცხადა, რომ ბევრი ცვლილება სურს და შეეცდება, საზოგადოების ცხოვრება უკეთესი გახადოს. პიკემ ასევე ისაუბრა იმაზეც, რომ ის შეეცდება, საფეხბურთო გუნდ ბარსელონას მუდმივად დაეხმაროს და ყოველთვის დაიცვას მათი ინტერესები.

## ბენზემა: „საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტია“



საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა კარიმ ბენზემამ მსოფლიო ჩემპიონატზე ისაუბრა და თქვა, რომ საფრანგეთს შეუძლია ჩემპიონატის მოგება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ თავიანთი საუკეთესო თამაშის ჩვენებას და სრულად გამოიყენებენ თავიანთ პოტენციალს: „ჩვენ ფავორიტები ვართ, მაგრამ ეს მოედანზე უნდა დავამტკიცოთ. მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია, რადგან ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გვყავს“.

## ნაპოლი კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს



ნაპოლი ხვიჩა კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს და შესაძლოა უახლოეს მომავალში მასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმონ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კვარაცხელიას ხელფასი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ახლაა და შესაძლოა ეს თანხა წელიწადში 7 მილიონი იყოს. ხვიჩა კვარაცხელიამ წლევანდელ სეზონში 8 გოლი და 8 საგოლე გადაცემა გააკეთა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დედის უსწრაფესმა რეაქციამ ბავშვი გველისგან დაკბენას გადაარჩინა



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა ქალმა საშიში შხამიანი ყავისფერი გველი მისი შვილისგან რამდენიმე სანტიმეტრში შენიშნა და სწრაფი რეაქციის წყალობით კბენისგან გადაარჩინა.

დანიელა ვიზინი საკუთარი სახლის უკანა ეზოში ირუჯებოდა, ხოლო მისი პატარა გოგონა ევა საბავშვო აუზში თამაშობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალმა შენიშნა, რომ მის ბავშვთან ყავისფერი გველი მიცურდა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შხამიან გველად ითვლება. ქალი ბავშვს მივარდა და ქვეწარმავლის ნახტომამდე ერთი წამით ადრე მოასწრო მისი ხელში ატაცება.

აღნიშნული შემთხვევა სახლის სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. მასზე ჩანს, თუ როგორ შერბიან სახლში ქალი და პატარა გოგონა. ვიზინის თქმით, ქვეწარმავლის დროულად შენიშვნაში ის ფაქტი დაეხმარა, რომ ეზოში ბალახი დაბალზე იყო გათიბული და ყველას მოუწოდა, რომ ისინიც ასევე მოიქცნენ, რათა გველთან მოულოდნელი შეხვედრა თავიდან აიცილონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– ძვირფასო, ჩემზე ფიქრობ?
– არა, შენთვის ვფიქრობ.

•••

სკანდალი: ჩვენი დეპუტატებიდან ერთ-ერთს სასახლე არ აღმოაჩნდა.

•••

მოსკოვის ქუჩებში ორი დათვი დაძრწის. ერთი მეორეს ეუბნება:
– გირჩევნია, ციმციმებიანი კონსერვის ქილა იპოვო. მასში უფრო მსუქანი ხორცია.

•••

პაციენტი ექიმს:
– ექიმო, ექიმო, მიშველეთ! რა მჭირს?!
– დამშვიდდით, თქვენ ჩვეულებრივი ბუასილი გაქვთ.
– რა ბუასილი, ექიმო, სახეზე?
– აჰ, ეს სახეა?!

•••

შვილი მამას ეუბნება:
– მამა, ამ ფილმში ზომბები ერთმანეთს კი არა, მხოლოდ ცოცხალ, არაზომბირებულ ადამიანებს ესხმიან თავს!
– ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში, შვილო, როგორც ცხოვრებაში...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## შიო აბრახამია საუკეთესო ქორმაისტერად დასახელდა



ეროვნულ სასახლეში დასრულდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსი აკადემიური სიმღერის კატეგორიაში. ეროვნული სასახლის თბილისის ახალგაზრდულმა კაპელამ პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა.

ასევე, გუნდმა გაიმარჯვა ორ ნომინაციაში: გია ყანჩელის სიმღერების საგუნდო არანჟირებისთვის ჯილდო მიენიჭა შიო აბრახამიას. კონკურსის საუკეთესო ქორმაისტერის ტიტული მიენიჭა შიო აბრახამიას.

თბილისის ახალგაზრდული კაპელა ეროვნულ სასახლეში 2021 წლის ოქტომბერში დაფუძნდა. მასში დღეს 30-ზე მეტი მოზარდი და ახალგაზრდა ერთიანდება. კაპელა დღემდე განაგრძობს გუნდში სიმღერის შესწავლის მსურველების მიღებას!

გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ ჯავახიშვილია, მთავარი დირიჟორი კი – შიო აბრახამია.

## მიშა ქირია საერთაშორისო საოპერო დაჯილდოებაზეა ნომინირებული



ოპერის მომღერლის მიშა ქირიას მიერ შესრულებული ჯანი სკიკის პარტია 2022 წლის საერთაშორისო საოპერო დაჯილდოებაზე „ახალი პროდუქციის“ კატეგორიაშია ნომინირებული:

– კარგი ამბები დაგვეწია – ზალცბურგის ფესტივალის დადგმა პუჩინის ერთ-ერთი ოპერისა, რომელშიც ჯანი სკიკის პარტია ვიმღერე, ნომინირებულია 2022 წლის საერთაშორისო საოპერო დაჯილდოებაზე „ახალი პროდუქციის“ კატეგორიაში. დაჯილდოების ცერემონია მადრიდის თეატრში 28 ნოემბერს გაიმართება.

## ცხინვალის თეატრი მსოფლიო პრემიერას გამართავს

ცხინვალის თეატრი 29 ნოემბერს რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მსოფლიო პრემიერას გამართავს.

„საწუთრო სიზმარივით ილევა“ – ასე ეწოდება რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს, რომელიც ლეილა ალიევას ლექსების მიხედვით შეიქმნა. ლექსების თარგმანი პოეტ მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის.

გოჩა კაპანაძის ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა, ცხინვალის თეატრის მსახიობები და დამოუკიდებელი ხელოვანები.

## „ვოისის“ მწვრთნელები ცნობილია



საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სულ მალე მუსიკალური შოუ „ვოისი“ დაიწყება. პროექტის გამარჯვებული საქართველოს ევროვიზიაზე წარადგენს.

„ვოისის“ ხელმძღვანელებმა უკვე გაასაჯაროვეს მწვრთნელების ვინაობა. შოუს ახალ სეზონზე კონკურსანტებს შეაფასებენ დათო ფორჩხიძე, სოფო ტოროშელიძე, სტეფანე მღებრიშვილი და დათო ევგენიძე.

შოუს წამყვანი კი გვანცა დარასელია იქნება, რომელიც პირველ არხზე „რუსთავი 2“-დან გადავიდა.

„ვოისის“ ახალი სეზონი პირველ არხზე სულ მალე დაიწყება.

**დათო ფორჩხიძე:**

– დიდხანს ველოდი „ვოისში“ დაბრუნებას, ეს დღეც დადგა და მე ისევ ისე, როგორც ადრე, ბოლომდე ვიბრძოლებ და დავიხარჯები. საუკეთესოს ვეძებ, თუმცაცა ბევრი კარგი მონაწილე იქნება.

მწვრთნელები ოთხივე ძალიან მაგარი – სუპერმაგრები. წითელ ღილაკს გამოვიყენებ და გამოვიყენებ, ჩემი რა მიდის?! მთავარია, ჩვენ, მწვრთნელებმა, ჩვენი სათქმელი ვთქვათ და მერე ვნახოთ. ხალხმა აირჩიოს. სტეფანე ამბობს ჩემზე, დენეემი არ გეცვლებაო და ვნახოთ, ალბათ ისევ ისეთი ვიქნები. რაც არ უნდა მეგობრობა იყოს, აქ რომ ჩვენ ერთმანეთს სიყვარული ავუხსნათ, ამისთვის არ დავუძახივართ. ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს და ბოლომდე დავიცავთ, რა თქმა უნდა, ეთიკისა და მორალის ფარგლებში. ჩვენ ისევ ვსხდებით წითელ სავარძლებში.

**სოფო ტოროშელიძე:**

– „ვოისი“ ბრუნდება პირველ არხზე! ყველაზე მაგარი, ყველაზე ექსტრემალური, ყველაზე აზარტული და, ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო ვოკალური შოუ. წელს პირველად ვარ „ვოისის“ მწვრთნელი, ვფიქრობ, რომ ძალიან გამორჩეული სეზონი იქნება, ველოდები განსაკუთრებულ მონაწილეებს.

რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პატივია იმ ადამიანებთან ერთად წითელ სავარძელში ჯდომა, რომლებიც ჩემთან ერთად მწვრთნელები იქნებიან. პირველ რიგში, ალბათ ჩვენ უნდა ვიყოთ ის, რაც ვართ.

წელს არის განსაკუთრებული ჯილდო, რაც არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევა, იმიტომ, რომ გამარჯვებული მიემგზავრება საქართველოს სახელით ევროვიზიაზე. ალბათ ის ფაქტორიც დამეხმარება, რომ ვიყავი ევროვიზიაზე. ეს იყო ჩემთვისაც ძალიან დიდი გამოცდილება და არცთუ ისე ცუდი შედეგით დავბრუნდით ჩვენს ქვეყანაში.

**დათო ევგენიძე:**

– „ვოისი“ ბრუნდება პირველ არხზე. ძალიან ბევრი რამე სწორედ რომ აზარტია და სწორედ რომ თამაშია. წელს განსაკუთრებული სეზონია და განსაკუთრებული ჯილდო ელოდება გამარჯვებულს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ევროვიზიაზე წარდგენა საქართველოსი.

დათო ევგენიძე შემოუბრუნდება ჭეშმარიტ ტალანტებს და, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ და ვიგრძნოთ პოტენციალი მომღერლის, რომელიც შემოგვთავაზებს თავის სიმღერას. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა წითელი სავარძლები შემოგვაბრუნებინონ.

**სტეფანე:**

– ეს „ვოისი“ ჩემთვის არის მეხუთე. როცა გავიგე, რომ „ვოისი“ ბრუნდება, მართლა ძალიან გამიხარდა. როგორც პროდიუსერებმა გვითხრეს, ძლიერი ნაკადია, თვითონაც გაკვირვებულები არიან და ყოველთვის ნაკადი განაპირობებს შოუს.

რომ მოიგებ „ვოისს“ ქვეყანაში, სადაც არის ნომერ პირველი შოუ და მისი გამარჯვებული ხარ, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო, სასიხარულო და საამაყოა.

პრიზებს ემატება ისიც, რომ გამარჯვებული წავა ევროვიზიაზე საქართველოს სახელით. ყველა ძალიან კარგად ვხვდებით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს.

მწვრთნელებიდან ყველა ძლიერი კონკურენტია, მაგისთვის ვართ აქ, რომ გარდა მეგობრობისა, ვიყოთ ერთმანეთისთვის ძლიერი კონკურენტები.

მგონია, რომ ის ადამიანი, რომელიც წავა წელს ევროვიზიაზე, ჩემი გუნდიდან იქნება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 17 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ნურავის გააკრიტიკებთ. მხოლოდ თქვენი საქმე აკეთეთ დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით. **კურო** – შესაფერისი დღეა მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – გეგმების შეცვლა მოგიწევთ. თავს დამატებითი მოვალეობები იჩენს. **კირჩხიბი** – შრომისუნარიანობა გეზრდებათ. შედეგიც არ დააყოვნებს. სიურპრიზების დღეა. **ლომი** – ხელმძღვანელ პირებთან მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. თქვენი გეგმების შესახებ ნურავის ნურაფერს ეტყვით. **ქალწული** – ამბიციურობას კარგი არაფერი მოჰყვება. თავმდაბლად იმუშავეთ. დაიცავით მორალური პრინციპები. **სასწორი** – პირადი საქმეები დროებით გვერდზე გადადეთ და მეგობრებს დაეხმარეთ. ასე თავს უკეთესად იგრძნობთ. **მორიელი** – ნათესავებისაგან აგრესიას გრძნობთ. ყველანაირად გაერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა და მოლაპარაკება დღის მეორე ნახევრისთვის გადადეთ. თქვენი მოვალეობები იზრდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, პარტნიორებთან ურთიერთობაში კონსენსუსს მიაღწევთ. **მერწყული** – ეცადეთ, დღეს მხოლოდ სულიერ სრულყოფაზე იზრუნოთ. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **თევზები** – ნუ იქნებით უმადური. დააფასეთ ადამიანი, რომელიც თქვენზე ზრუნავს. ემოციები მოთოკეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სახარატო ჩარხის ნაწილი. რომელშიც საჭრისი მაგრდება; 2. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 4. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 5. მომღერალთა გუნდი; 9. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 11. საზაფხულო ფეხსაცმელი; 12. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 19. ოსური ცეკვა.

**თარაზულად:** 4. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 5. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 6. ფერადი ლითონის თხელი ფირფიტა საკვები პროდუქტების შესაფუთად; 7. ულელტეხილი კახეთში; 8. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 10. ქვანახშირის გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 13. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 15. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ცენტრი; 16. მცირეალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 20. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 21. ფულის ერთეული კუვეიტში; 22. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 23. ტყავის დამუშავების ოსტატი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*